„დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე



# ლიტერატურული მესხეთი

№6 (186)
ივნისი
201[illegible] წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეთექვსმეტე წელი "LITERATURULI MESKHETI" "ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ"

## რას ფარავს ფარავანი?

პარმენ მარგველაშვილი



წერილობით წყაროებში „ფარავანის“, ან „ფარვანას“ სახელით მოიხსენიება ტბა, რომელიც აბულ-სამსარისა და ჯავახეთის ქედებს შორის არის მოქცეული და რომლის არსებობა გეოლოგიური, წინარეისტორიული ეპოქიდან ივარაუდება. ფარავნის მუდამ მღვრიე და პრაქტიკულად გაუმჭვირვალე, არც ისე ღრმა ტბა, გამდინარე წყალსაცავს წარმოადგენს და საკმაოდ დიდი ფართობის წყალშემკრები მთებიდან ივსება უწყვეტად (წყალშემკრები აუზის ფართობი 234 კვადრატული კილომეტრია). ტბის ზედაპირის სარკის ფართობი 37,6 კვადრატული კილომეტრია და ზღვის დონიდან 2073 მეტრზე მდებარეობს, ტბის სიღრმე 2,5-3,5 მეტრის ფარგლებში მერყეობს.

თრიალეთისა და ჯავახეთის საზღვარზე მდებარე ტბის გარშემო არსებული ტერიტორიული ერთეული ქართლის სამეფოს ნაწილი იყო, ტერიტორიის მიწები სამეფო და საკათალიკოსო საკუთრებას წარმოადგენდა. აქ გადიოდა გზები ბიზანტიისაკენ, სომხეთისაკენ, დასავლეთ საქართველოსაკენ. დღეისათვის სახელი „ფარავანი“ შემორჩა ტბას და მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარე სოფელს, რომელსაც დუხობორებმა როდიონოვკა უწოდეს.



ექსპედიციის წევრთა ერთი ჯგუფი შვედ არქეოლოგ ულრიკა სადერლენთან ერთად, რომელიც შვედეთის სამეცნიერო ჟურნალ „წყალქვეშა არქეოლოგიის“ ფურცლებზე ვრცელი სტატიით გამოეხმაურა „ფარავნის“ ინტერდისციპლინარულ პროექტს

მილიონი წლების მანძილზე ფორმირდებოდა და ყალიბდებოდა, იცვლებოდა და დღესაც იცვლება ფარავნის წიაღი და გარემო, როგორც გეოლოგიური, თუ ბუნებრივ-კლიმატური პროცესების შედეგად, ისე ანთროპოგენული ზემოქმედებით. ირკვევა, რომ ფარავნის რეგიონის გეოლოგიურ განსაკუთრებულობას აქ გამავალი დედამიწის ქერქის ტექტონიკური რღვევის ხაზი განაპირობებს და, რაც უნდა გასაკვირი იყოს, სწორედ აქ, თანაც აქტიური აბულ-სამსარის ქედის მწვერვალებზე, დღემდე არის შემონახული უძველესი ანთროპოგენული ზემოქმედების საოცარი ნაშთები – ქედის ორ უმაღლეს მწვერვალზე, პატარა აბულზე და შაორის მთის წვერზე მეგალითური ციხესიმაგრეებია აღმართული. ეს შთამბეჭდავი ნაგებობები ჯერ კიდევ შეუსწავლელია, არ არის გარკვეული მათი ფუნქციური დანიშნულება და მათ აგებაზე დახარჯული ტიტანური შრომის მიზანი. ისინი, თითქოს, გეოგრაფიულ და ფიზიკურ სივრცესა და დროში, ადამიანის მყოფობის იდუმალ მოწმეებად დგანან მხოლოდ, სინამდვილეში კი ქართველური სააზროვნო წიაღის მზიდი კონსტრუქციის მნიშვნელოვან კვანძად უნდა დავსახოთ, რადგან ეს რეგიონი ატარებს უწყვეტი სულიერი და კულტურული პროცესის კვალს და, გარდა ამ მეგალითური ციხე-ტაძრებისა და მხარისათვის დამახასიათებელი „ციკლოპური“ ნაგებობებისა, მრავლადაა არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლები, ნაშთები როგორც ნეოლითის, ისე ბრინჯაოს ხანისა და შუა საუკუნეების
ისტორიული ეპოქებისა. ფარავანი არის მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის კულტურების შუაგული და აქ არის ქართველთა სულიერი და კულტურული ცხოვრების იმ მაგისტრალური გზის სათავე, წმინდა ნინომ რომ გაგვიკვალა, ყველაფერი კი მიუთითებს ფარავნის რეგიონის მნიშვნელოვან პოტენციალზე. ფარავნის ტბა არის ქართველთა სულიერი სამყაროს არამარტო უმნიშვნელოვანესი ორიენტირი, არამედ მაცოცხლებელი წყაროც. ჩემთვის კი რაღაც საკრალური და დაფარულია განსხეულებული თავად სიტყვაში – „ფარვანი“.

ვისაც ბუნებისმეტყველების ზოგადი ცნებები სასკოლო პროგრამის ფარგლებშია, მაინც [illegible] რომ



უნიკალური აღმოჩენის სიხარული პროექტის ხელმძღვანელთან ერთად სტუმრად მყოფმა ნუგზარ შარიამაც გაიზიარა

პოტენციალის ძალმოსილება მუხტის, ან სხვა შესაბამისი მგრძნობელობით აღჭურვილი რეალობის ველში შეტანით შეიძლება გამჟღავნდეს და გახდეს ხელშესახები. ასე რომ, თუ გვინდა ფარავნის რეგიონის პოტენციალის ძალმოსილება განვიცადოთ, სათანადოდ შეიარაღებულები უნდა მივეახლოთ მას.

ფარავნის რეგიონისადმი ინტერესის განახლების მძლავრ ბიძგად იქცა ქრისტეშობიდან 2000 წლის აღსანიშნავი ღონისძიებები, რომელიც უნივერსიტეტელთათვის წმიდა ანდრია პირველწოდებულისა და წმიდა ნინოს გზებზე საზეიმო ლოცვით მსვლელობაში მასშტაბური მონაწილეობით დაიწყო, მრავალი საველე-პრაქტიკული, სასწავლო-გაცნობითი და კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციებით გაგრძელდა და, უნდა ითქვას, რომ რეალურად შედგა რეგიონის პოტენციალთან მიახლების პროცესი. ცხადია, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა აქტივობა მნიშვნელოვანი იყო თავად მონაწილეთათვის, მაგრამ, ვფიქრობთ, საზოგადო ინტერესს უნდა იწვევდეს და კვლავაც მეცნიერული კვლევის საგნად და რეგიონთან მუდმივი ურთიერთობის მიზეზად უნდა დარჩეს ის საიდუმლო და დაფარული, რასაც ფარავნის ტბის სრულიად გაუმჭვირვალე წყალი იტევს და რომლის მცირე ნაწილის კონტურები 2003-2006 წლების სამეცნიერო ექსპედიციის მიერ იქნა წარმოჩენილი (ინტერდისციპლინა-
რული პროექტის საერთო სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო **პარმენ მარგველაშვილი**, სამეცნიერო ხელმძღვანელები: **ბეჟან თუთბერიძე, ზურაბ ჯავახიშვილი, ჯანო კეკელია, ვახტანგ ლიჩელი, მერაბ ბერიძე, ამირან ჯამრიშვილი**).

ინტერდისციპლინარულ პროექტს სათავე დაუდო 2002 წლის სტუდენტურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი **ირმა მაკალათია),** რომელმაც შეაკეთა და საცხოვრებლადვარგის კონდიციამდე მიიყვანა როდიონოვკაში არსებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის ბაზის რამდენიმე ნაგებობა, რითაც პრაქტიკულად შესაძლებელი გახადა ამ რეგიონში სტუდენტური საველე-გაცნობითი პრაქტიკისა და სამეცნიერო ექსპედიციების განახლება. **სტუდენტთა ამ ჯგუფის მოსახლეობასთან კეთილ ურთიერთობას შედეგად ის მოჰყვა, რომ ადგილობრივებმა მათ საიდუმლო გაუმხილეს და ფარავნის ტბაში, ნაპირიდან ნახევარი კილომეტრის მანძილზე ჩაძირული ნაგებობის ნაშთით დააინტერესეს.**

პროექტის 2003-2004 წლის სამეცნიერო ექსპედიციები მიეძღვნა წყალქვეშა ობიექტის ელექტრონულ-ციფრული ტექნოლოგიებით აგეგმვას, ტბის ფსკერის გეოლოგიური ქანების გამოკვლევას და წყალქვეშა ნაგებობის მყვინთა-
[illegible]ბით შეასრულა მკვლევართა ჯგუფმა ასოციაცია „ჰიდროსფეროდან“ (ხელმძღვანელი **ნოდარ წივწივაძე).** დანარჩენი ორი ამოცანისათვის გაწეულმა ძალისხმევამ ექსპედიციას უარყოფითი შედეგი მისცა – პრაქტიკულად შეუძლებელი თუ არა, მეტად რთული და არაეფექტური გამოდგა მდგრადი პლატფორმის გარეშე ტრადიციული, ძიების გეოფიზიკური სეისმური მეთოდოლოგიის დახმარებით ტბის ფსკერის გამოკვლევა, წყალქვეშა დაზვერვითი საქმიანობისას კი მყვინთავებისათვის მნიშვნელოვან წინააღმდეგობად იქცა ტბის წყლის პრაქტიკულად სრული გაუმჭვირვალობა.

მომდევნო – 2005 წლის ექსპედიციამ მიზნად დაისახა მდგრადი პლატფორმისა და წყალქვეშა სამუშაოების ვიზუალიზაციის ახალი მოდელის საფუძველზე, საკვლევი ობიექტის ირგვლივ კარტოგრაფიული და გეოლოგიური დაზვერვითი სამუშაოების წარმართვა.

პლატფორმამ, მღვრიე და გაუმჭვირვალე გარემოს ვიზუალიზაციის მეთოდმა, დადებითი შედეგები მოიტანა. ვიზუალიზაციის მოწყობილობა „საქპატენტმა“ სიახლედ აღიარა და სათანადო პატენტიც გასცა, ხოლო ექსპედიციამ, უკვე ამ ეტაპზე, დაადგინა, რომ საკვლევი ობიექტი არ არის უბრალო გეოლოგიური წარმონაქმნი, ის ადამიანის ხელით არის შექმნილი და 95%-ის საიმედოობით ყორღანს წარმოადგენს.

გამოტანილი დასკვნა იქცა იმ მნიშვნელოვანი სამეცნი-

დასასრული მე-3 გვ. ▶

# სახარება მათესი



კაცობრიობის მხსნელი და მაცხოვარი ჩვენი, – უფალი იესო ქრისტე, იშვა აბრაამიდან მოყოლებული ორმოცდამეორე თაობაში.

გავიხსენოთ წუთისოფლად მისი მოვლენის ქრონოლოგიური სურათი:

– აბრაამმა შვა ისააკი, ისააკმა – იაკობი, იაკობმა – იუდა, იუდამ – ფარეზი, ფარეზმა – ესრომი, ესრომმა – არამი, არამმა – ამინადაბი, ამინადაბმა – ნაასონი, ნაასონმა – სალმონი, სალმონმა – ბოოსი, ბოოსმა – იობედი, იობედმა – იესე, იესემ – დავითი, დავითმა – სოლომონი, სოლომონმა – რობოამი, რობოამმა – აბია, აბიამ – ასა, ასამ – იოსაფატი, იოსაფატმა – იორამი, იორამმა – ოზია, ოზიამ – იოთამი, იოთამმა – აქაზი, აქაზმა – ეზეკია, ეზეკიამ – მანასე, მანასემ – ამონი, ამონმა – იოსია, იოსიამ – იექონია, იექონიამ – სალათიელი, სალათიელმა – ზორობაბელი, ზორობაბელმა – აბიუდი, აბიუდმა – ელიაკიმი, ელიაკიმმა – აზორი, აზორმა – სადოკი, სადოკმა – აქიმი, აქიმმა – ელიუდი, ელიუდმა – ელეაზარი, ელეაზარმა – მატთანი, მატთანმა – იაკობი, იაკობმა – იოსები; იოსები კი ქმარია მარიამ ღვთისმშობელისა, – **„ვისგანაც იშვა იესო“.**

წუთისოფელში იესო ქრისტეს გაჩენა ასე მოხდა:

– იოსებზე დანიშნული იყო მარიამი, რომელსაც, მასთან შეერთებამდე, მუცლად ეღო. იოსებმა გადაწყვიტა არ შეერცხვინა მარიამი და მისი ფარულად გაშვება გადაწყვიტა. მაშინ, სიზმრად, უფლის ანგელოზი გამოეცხადა იოსებს და ამცნო:

**– „იოსებ, დავითის ძეო, ნუ შიშობ მოიყვანო მარიამი, ცოლი შენი, რადგან ვინც მასში ჩასახულია, სულის წმიდისაგან არის. და შობს ძეს და უწოდებს სახელად იესოს, რადგან ის იხსნის თავის ხალხს მათი ცოდვებისაგან“.**

ცხადია, ყოველივე ეს უფლის სურვილით მოხდა, როცა წინასწარმეტყველს ათქმევინა, რომ ქალწული მუცლად იღებს, შემდეგ შობს ძეს, რომელსაც უწოდებენ ემმანუიელს, რაც თარგმნით ნიშნავს **„ჩვენთან არს ღმერთი„!**

რა თქმა უნდა, იოსები ისე მოიქცა, როგორც ანგელოზმა ურჩია.

იერუსალიმში, ჰეროდეს მეფობისას, იუდეის ბეთლემში დაიბადა იესო ქრისტე.

ყრმა მაცხოვრის სათაყვანებლად, იერუსალიმს მოგვები მიადგნენ და იკითხეს, სად შეიძლებოდა იუდეველთა ახალშობილი მეფის ნახვა.

ჰეროდემ შეკრიბა მღვდელმთავრები, ერის მწიგნობრები, თითქმის მთელი იერუსალიმის ის ნაწილი, ვისაც ჭკუა-გონებით გამორჩეულად მიიჩნევდა და ჰკითხა, სად შეიძლებოდა დაბადებულიყო იესო ქრისტე, ხოლო როცა შეიტყო, რომ იუდეის ბეთლემში დაიბადა, როგორც იყო დაწერილი წინასწარმეტყველის მიერ, თქვა:

**– „და შენ, ბეთლემ, იუდას ქვეყანაო, არაფრითა ხარ უმცირესი იუდას მთავართა შორის, ვინაიდან შენგან გამოვა მთავარი, რომელიც, დამწყემსავს ჩემს ერს ისრაელს“,** მერე მალულად დაავალა მოგვებს, გაეგოთ ყრმის ადგილსამყოფელი, რათა შემდგომ, თვითონაც თაყვანი მიეგო მისთვის, თუმცა, გულის სიღრმეში, ბოროტი ზრახვები ჰქონდა – ახალშობილის მოკვლა სურდა.

გზამკვლევად მოგვებს წინ წარუძღვა ვარსკვლავი, რომელმაც ისინი ერთ სახლამდე მიიყვანა. შევიდნენ სახლში და ნახეს მარიამი თავის ყრმასთან ერთად, დაემხნენ და თაყვანი სცეს ახალშობილს, ძღვნად კი ოქრო, გუნდრუკი და მური მიართვეს.

მოგვებს ანგელოზი გამოეცხადა რჩევით, რომ ჰეროდესათვის არ გაემხილათ იესოს ადგილსამყოფელი, რადგან მეფეს ავი ზრახვები უტრიალებდა თავში. მოგვებმა ისმინეს ანგელოზის ნათქვამი და თავიანთ ქვეყანაში მალულად სულ სხვა გზით დაბრუნდნენ.

იოსებსაც გამოეცხადა უფლის ანგელოზი და ურჩია, – სასწრაფოდ წაეყვანა მარიამი პატარა იესოთი ბეთლემიდან ეგვიპტეში, ვინაიდან ჰეროდეს ახალშობილის მოკვლა ჰქონდა გადაწყვეტილი.

ისმინა იოსებმა ანგელოზის რჩევა.

გაბოროტებულმა და მოვგებისაგან მოტყუებულმა ჰეროდემ ბრძანება გასცა და წარგზავნა ხალხი ბეთლემსა და მის მიდამოებში, ორ წლამდე ასაკის ყველა ბავშვის დასახოცად, რადგან, დარწმუნებული იყო და სჯეროდა, რომ მათში ერთ-ერთი მაინც იქნებოდა იესო.

ასრულდა იერემია წინასწარმეტყველის თქმული და რამაში გოდებისა და ტირილის „ხმა გაისმა“.

ისევ გამოეცხადა იოსებს უფლის ანგელოზი და აცნობა ჰეროდეს სიკვდილი.

იოსები, მარიამთან და ჩვილ იესოსთან ერთად, მაშინვე ისრაელისაკენ გაემართა, მაგრამ გზაზე მიმავალმა შეიტყო არქელაოსის, – ჰეროდეს ვაჟის გამეფების ამბავი და გალილეისაკენ აიღო გეზი... და აი, **„მივიდა და დაესახლა ქალაქში, რომელსაც ჰქვია ნაზარეთი, რათა აღსრულდეს თქმული წინასწარმეტყველთა მიერ – ნაზარეველად იწოდებისო“.**

გავიდა რამდენიმე წელი და იუდეის უდაბნოში საქადაგებლად გამოჩნდა აქლემის ბეწვით, წელზე ტყავის სარტყელით შემოსილი იოანე ნათლისმცემელი, რომელიც საკვებად მხოლოდ ველურ თაფლსა და კალიებს იღებდა და ხალხს მონანიებას ურჩევდა **„ვინაიდან მოახლოვდა ცათა სასუფეველი“**, და **„რადგან ეს არის, ვისთვისაც ითქვა ესაია წინასწარმეტყველის მიერ: ხმა უდაბნოში მღაღადებლისა: გაამზადეთ გზა უფლისა, გაასწორეთ მისი ბილიკნი“.**

იოანე ნათლისმცემელი მდინარე იორდანეში განბანვით ნათლავდა ხალხს. ცოდვების მოსანანიებლად მასთან მრავლად მოდიოდნენ იერუსალიმის, იუდეასა და იორდანეს შემოგარენში მცხოვრებნი, რომელთაც ასე მიმართავდა:

**– „მე წყლით გნათლავთ, რომ მოინანიოთ, ხოლო ჩემს შემდეგ მომავალი ჩემზე უძლიერესია, ვისი ხამლის ტარებისაც არა ვარ ღირსი და ის მოგნათლავთ სულით წმინდითა და ცეცხლით“.**

და მართლაც, მობრძანდა იესო მოსანათლავად გალილეიდან იორდანესთან.

გაოცებულმა იოანემ მიმართა იესოს: **„მე მმართებს შენგან მონათვლა და შენ მოდიხარ ჩემთან? ხოლო იესომ მიუგო და უთხრა: დე, ასე იყოს ახლა, რადგან ჩვენ გვმართებს აღვასრულოთ ყოველი სიმართლე“.**

მოინათლა იესო.

სწორედ იმ დროს ზეცა გაიხსნა და სულიწმინდა მტრედის სახით თავზე დაადგა იესოს. გაისმა ხმა ზეციდან: **„ეს არის ძე ჩემი საყვარელი, რომელშიაც კეთილად გამოვჩნდი მე“.** იმ დროისათვის მაცხოვარი ოცდაათი წლისა იყო.

ამის შემდეგ ორმოცი დღე და ღამე იმარხულა იესომ უდაბნოში, მოშივდა კიდეც.

**„მიადგა მას მაცდური და უთხრა: თუ ძე ხარ ღმერთისა, თქვი, რომ ეს ქვები პურებად იქცნენ“.** ხოლო მაცხოვარმა მიუგო, რომ კაცი არა მხოლოდ პურით ცოცხლობს, არამედ ღმერთის პირიდან გამომავალი ყოველი სიტყვით. მაშინ, ეშმაკმა ტაძრის სახურავიდან გადმოხტომა შესთავაზა მას და დასძინა, რომ თუ ძე იყო ღვთისა, ანგელოზები აიტაცებდნენ და ძირს დასანარცხებლად არ გაიმეტებდნენ; რაზედაც იესომ მშვიდად მიუგო:

**„ – ესეც დაწერილია: არ გამოსცადო უფალი ღმერთი შენი“.**

მაინც არ მოეშვა ეშმაკი იესოს, მაღალ მთაზე აიყვანა, იქედან გადმოახედა და მთელი ხილულის მიცემას დაპირდა, თუ მის წინაშე დაეცემოდა და თაყვანს სცემდა მას. **„მაშინ მიუგო მას იესომ: გამშორდი, სატანა, რადგანაც დაწერილია: უფალს ღმერთს შენსას თაყვანი ეცი და მხოლოდ მას ემსახურე“.**

ამ სიტყვების გაგონებისას, ეშმაკმა საბოლოოდ მიანება თავი იესოს და გაშორდა.

შეიტყო იესომ იოანეს შეპყრობის ამბავი, მიატოვა ნაზარეთი და გალილეისაკენ გაემართა. გზაზე მებადური ძმები შეხვდნენ: სიმონი, – პეტრედ წოდებული და ანდრია, იაკობი და იოანე. იესომ, კაცთა მებადურებად გადაქცევა აღუთქვა მათ. მაცხოვარი ქადაგებდა სინაგოგებში სახამებას სასუფევლისას, თან ხალხსაც კურნავდა ყოველგვარი სენისგან. გაითქვა იესომ სახელი **„და მისდევდა მას დიდძალი ხალხი გალილეადან და ათ ქალაქიდან, იერუსალემიდან, იუდეიდან და იორდანეს გაღმიდან“.**

იესო უნერგავდა ხალხს სიკეთეს, სიყვარულს. თავის მოწაფეებს კი ასე მიმართავდა:

*„ნეტარ არიან გლახაკნი სულითა, ვინაიდან მათია ცათა სასუფეველი„;*

*„ნეტარ არიან მგლოვიარენი, ვინაიდან ისინი ნუგეშცემულნი იქნებიან„;*

*„ნეტარ არიან თვინიერნი, ვინაიდან ისინი დაიმკვიდრებენ მიწას„;*

*„ნეტარ არიან სიმართლისთვის მშიერმწყურვალნი, ვინაიდან ისინი გაძღებიან„;*

*„ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალებულნი იქნებიან„;*

*„ნეტარ არიან წმინდანი გულითა, ვინაიდან ისინი ღმერთს იხილავენ„;*

*„ნეტარ არიან მშვიდობისმყოფელნი, ვინაიდან ისინი ღმრთის ძეებად იწოდებიან„;*

*„ნეტარ არიან სიმართლისათვის დევნილნი, ვინაიდან მათია ცათა სასუფეველი„;*

*„ნეტარნი ხართ თქვენ, როცა დაგიწყებენ გმობას, დევნას და ცრუმეტყველნი დაგწამებენ ყოველგვარ ბოროტს ჩემი გულისთვის“.*

**„თქვენა ხართ ნათელი ქვეყნისა. ვერ დაიმალება ქალაქი მთის მწვერვალზე გაშენებული. არავინ ანათებს სანთელს და დგამს მას საწყაოს ქვეშ, არამედ სასანთლეზე, და უნათებს ყველა შინ მყოფს“.**

ამ მცნებათა აღსრულება და ყველა ადამიანამდე დაყვანა სთხოვა იესომ მოწაფეებს, თან შეახსენა წინაპართა მიერ თქმული:

– **„არა კაც-ჰკლა“,** რომელსაც, თავის მხრივ დაუმატა, რომ **„ვინც უმიზეზოდ ურისხდება თავის ძმას, სამართალში უნდა მიეცეს“.** უფრო მეტიც, შესაწირავის მიტანისას, საკურთხევლის წინ, ბოროტად განწყობილი ძმის გახსენებისას, მასთან მისვლა, შემორიგება და მხოლოდ ამის შემდეგ შესაწირავის შეწირვა ურჩია მათ.

განაგრძო იესომ ქადაგება და ასევე წინაპართა მიერ თქმული **„არა იმრუშო„**-ც გაიხსენა. **„ყველამ, ვინც ნდომით შეხედა ქალს, უკვე იმრუშა მასთან საკუთარ გულში“** და **„თუკი გაცდუნებს შენი მარჯვენა თვალი, ამოითხარე და გადააგდე, ვინაიდან გირჩევნია დაჰკარგო ერთი შენი ასოთაგანი, ვიდრე მთელი შენი სხეული ჩავარდეს გეენას“,** – ბრძანა უფალმა და ასე დაამთავრა იმდღევანდელი ქადაგება:

**– „ნუ აღუდგებით წინ ბოროტს, არამედ ვინც შემოგკრავს მარჯვენა ყვრიმალში, მიუშვირე მას მეორეც„;**

**– „თუ ვინმეს სურს გიჩივლოს და წაგართვას შენი პერანგი, მიეცი მას მოსასხამიც„;**

**„თუ ვინმე გაიძულებს ერთი მილის მანძილზე გამომყევიო, ორზე გაჰყევი მას„;**

**„მაშ, იყავით თქვენ სრულქმნილნი, როგორც სრულქმნილია მამა თქვენი ზეციერი“,** ამიტომ გიყვარდეთ მტერი თქვენი, დალოცეთ თქვენი მდევნელი და შეურაცხმყოფელნი, თორემ მოყვასნი, განა წარმართებს არ უყვართ? და თქვენ, ხომ უნდა განსხვავდებოდეთ მათგან.

ქადაგებდა იესო სიკეთესა და სიმართლის ქმნისაკენ მოუწოდებდა ხალხს, ხოლო თავის მოწაფეებს კი ასწავლიდა, რომ რადგან მამაზეციერი ისედაც ყველაფერს ხედავს და საზღაურსაც მხოლოდ ნამოქმედარის მიხედვით გასცემს, – **„ლოცვისას ნუ იტყვით ზედმეტს, წარმართთა მსგავსად, რომელთაც ჰგონიათ, რომ სიტყვამრავლობის გამო შესმენილ იქნებიან. ნუ ემსგავსებით მათ, ვინაიდან მამამ თქვენმა, ვიდრე სთხოვდეთ, მანამდე იცის, თუ რა გჭირდებათ; ხოლო ილოცეთ ასე: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა, პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს, და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან. რადგან შენია სუფევა და ძალი და დიდება უკუნისამდე. ამინ.„**

უპირველეს ყოვლისა, ზეციური მამის ერთგულებისა და სიყვარულისაკენ მოუწოდებდა იესო მოწაფეებს და ბრძანებდა:

**„ეძებეთ უპირველესად უფლის სასუფეველი და სიმართლე მისი, და ყოველივე მოგეცემათ თქვენ“.**

განა ცის ფრინველნი, რომლებიც არც თესავენ, არც მკიან და არც ბეღლებს ავსებენ, არ ირჩენენ თავს? **„ნუთუ თქვენ არა სჯობიხართ ფრინველთ?“** ამიტომ **„ნუ ზრუნავთ და იტყვით: რა ვჭამოთ, რა ვსვათ, ანდა რით შევიმოსოთო? ვინაიდან ყოველივე ამას ეძებენ წარმართნი, და ვინაიდან მამამ თქვენმა ზეციურმა იცის, რომ გჭირდებათ ყოველივე ეს“.**

ამასთანავე,

**– „ნუ ზრუნავთ ხვალინდელი დღისათვის, რადგან ხვალე თვითონ იზრუნებს თავისას: ყოველ დღეს ეყოფა საზრუნავი“.**

იესომ ბევრი რჩევა მისცა მოწაფეებს და დაარიგა:

**„ყველას, ვინც ისმენს ჩემს სიტყვებს და ასრულებს მათ, მე ვამსგავსებ გონიერ კაცს, რომელმაც კლდეზე დააშენა თავისი სახლი“,** რომელსაც ვერც ქარი, ვერც წვიმა ვერაფერს დააკლებს, ის ხალხი კი, ვინც ჩემს დარიგებებს არ სცნობს, – **„მე ვამსგავსებ უგუნურ კაცს, რომელმაც ქვიშაზე ააშენა თავისი სახლი“,** რომელსაც უბრალო ქარიც კი დაშლის და წყალს გაატანს. სწორედ ამიტომ:

**– „ნუ განსჯით, რათა არ განისაჯოთ“,** და კიდევ:

**– „რატომ ხედავ ბეწვს შენი ძმის თვალში, ხოლო შენსაში დირესაც ვერა გრძნობ?„**

**გახსოვდეთ:**

**– „ ყველა ვარგის ხეს ვარგისი ნაყოფი გამოაქვს, და ყველა უვარგის ხეს უვარგისი ნაყოფი გამოაქვს“.**

დაასრულა მაცხოვარმა ქადაგება; უკვირდათ მისი მოძღვრება, **„ვინაიდან ის ასწავლიდა მათ როგორც ძალმოსილი, და არა როგორც მათი მწიგნობარნი“.**

ამის შემდეგ მრავალი ავადმყოფი განკურნა იესომ, მათ შორის ბევრი მომაკვდავიც კი. სწორედ ამიტომ, საქვეყნოდ გაითქვა სახელი, როგორც სასწაულმოქმედმა, რომელმაც მუნჯებიც კი აამეტყველა. **„უკვირდა ხალხს და ამბობდა: არ მოსწრებია ისრაელს ამგვარი რამე. ხოლო ფარისეველნი ამბობდნენ: ეშმაკთა მთავ-**

▶

◄ პირველი გვერდიდან




# რას ფარავს ფარავანი?

ერო პრობლემის საფუძვლად, რომელიც, კითხვის სახით, ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: **როგორ აღმოჩნდა ადამიანის ხელით შექმნილი კონსტრუქცია ტბაში?** თავად ტბა ჩამოყალიბდა ისტორიულ ეპოქაში, თუ განვითარებულმა გეოლოგიურმა ძვრებმა და პროცესებმა უკვე არსებულ ტბას მნიშვნელოვნად უცვალა სახე და მდებარეობა, რის შედეგადაც მან ახლო მდებარე ყორღანული ველის ნაწილი დაფარა? ამ პრობლემის გადასაწყვეტად გეოლოგებს, სეისმოლოგებს და გეოფიზიკოსებს სხვადასხვა სამეცნიერო ჰიპოთეზის შემოწმება მომავალში მოუწევთ; საჭიროა სწორედ ამ პრობლემაზე ორიენტირებული კომპლექსური, ინტერდისციპლინური კვლევების წარმართვა, რაც არქეოლოგიის და პალეობიოლოგიის დახმარების გარეშე ვერ იქნება წარმატებული.

ქვეყნის საგანმანათლებლო სფეროს რეფორმებით დატვირთული – 2006 წლისთვის ექსპედიციის ამოცანა ასე განისაზღვრა: დაიწყოს წყალქვეშა არქეოლოგიური დაზვერვითი და საძიებო სამუშაოები, იმ ანგარიშით, რომ მთელი პროცესი წარიმართოს ტბის ფსკერიდან გადმოცემული ვიზუალური მასალის უწყვეტი მონიტორინგის რეჟიმში, ვიდეო ეკრანის მეშვეობით მოწოდებული მნიშვნელოვანი მონაკვეთების ჩაწერისა და დაარქივების უზრუნველყოფით.

სამწუხაროდ, უწყვეტი მონიტორინგის პრობლემა გადაუჭრელი დარჩა, კომპანია „ვისოლის“ თანადგომით ექსპედიციამ შესძლო თავი მოეყარა ტექნიკური აღჭურვილობის მხოლოდ იმ ნაწილისათვის, რომელიც უზრუნველყოფდა ტბაში მდებარე კონსტრუქციის მახლობლად სტაციონალური და მოტივტივე პლატფორმების აგებას, პლატფორმებამდე ჯგუფის წევრების ტრანსპორტირებას და ნაპირთან მუდმივ კომუნიკაციას, მყვინთავთა ოთხკაციანი სამი ბრიგადის უსაფრთხო და ნაყოფიერ მუშაობას (აუცილებელი ამუნიციის და დანადგართა კომპლექსის სრული კომპლექტის ჩათვლით). ამასთან, მთელი ექსპედიცია უზრუნველყოფილი იყო წყალზე და ხმელეთზე ტრანსპორტირებისა და სამუშაოთა წარმოებისათვის აუცილებელი საწვავით.

რადგან, სრულიად გაუმჭვირვალე ფარავნის ტბაში, უშუალო წყალქვეშა ვიდეო და ფოტო ფიქსაციისათვის აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობის პრობლემა ექსპედიციამ, სახსრების უქონლობის გამო, ვერ გადაჭრა, დავკმაყოფილდით ტბის ფსკერიდან ამოღებული მასალის მხოლოდ ტრადიციული ტექნოლოგიის მეშვეობით დაფიქსირებით, ფაქტების აღნუსხვითა და ჩაწერით. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ექსპედიცია მაინც წარმატებული გამოდგა.

წყალქვეშა „ყორღანი“ დაკვადრატდა მყვინთავების მიერ და საძიებო სამუშაოები დაიწყო კონსტრუქციის ჩრდილო-აღმოსავლეთ სექტორიდან ინერტული მასალის ამოკრეფით. წყლის ზედაპირზე გამართულ პლატფორმაზე ხდებოდა ტბიდან ამოღებული ყველა ქვის აზომვა, მოპოვების ადგილის მითითებით. ამ სამუშაოთა დროს არტეფაქტები არ აღმოჩენილა. კონსტრუქციის დაშლის პროცესში, შესაბამისი კვადრატიდან ამოღებული ინერტული მასალის შესწავლისა და ყოველი ლოდის აზომვის შემდეგ, მონაცემები სათანადო მისამართით იკავებდა ადგილს ჟურნალში, რის საფუძველზედაც მომავალში, სრულიად ახალი მეთოდიკით, რომელიც პირველად არის შემოთავაზებული პროექტის არქეოლოგის, ვახტანგ ლიჩელის მიერ, უნდა გაკეთდეს წყლის ქვეშ ჩატარებული გათხრების სამგანზომილებიანი კომპიუტერული რეკონსტრუქცია.

მყვინთავების თავდადებული მუშაობის შედეგად უკვე ამოღებული და შესწავლილია წყალქვეშა კონსტრუქციის სხვადასხვა ზომის თითქმის 2500 ქვა და ლოდი. სავარაუდოდ, სამარხის გახსნა შესაძლებელია მომდევნო ერთი სეზონის განმავლობაში, თუკი ექსპედიციას ექნება სრულფასოვანი პირობები და ხელშეწყობა.

ექსპედიციის მუშაობის შედეგად ფარავნის ტბაში მიკვლეულია ორი არქეოლოგიური ძეგლი: ძვ.წ.აღ.-ით II ათასწლეულის ყორღანული სამარხი (სავარაუდოდ) და შუასაუკუნეების (XIII – XVI საუკუნეები) კულტურული ფენა.

ტბის ფსკერზე, უშუალოდ



არქეოლოგიური ფენიდან ამოღებული რამდენიმე ნიმუში



ქვის კონსტრუქციის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაფიქსირდა კერამიკული ფრაგმენტების კონცენტრაცია. ესაა ძირითადად უხეშად დამუშავებული სამეურნეო და სამზარეულო კერამიკა, რომელთაც ზედაპირი შავი, ხოლო შიდა მხარე მოყავისფრო – რუხი ფერისა აქვს. აქ მოპოვებული მასალიდან ყურადღებას იქცევს: მთლიანად შემონახული ორყურა ქოთანი (XV–XVII საუკუნეები); ნახევარმთვარის ფორმის შავკეციანი თიხის იშვიათი საკიდი, რომელსაც კუთხეებში ორი ნახვრეტი აქვს და საფიქრებელია, რომ იგივე ხანას (შუასაუკუნეებს) განეკუთვნება; ნაცრისფერკეციანი დოქის ყელის ფრაგმენტი, რომელზეც წითელი საღებავის კვალია შემორჩენილი. იგი ახლო მსგავსებას ამჟღავნებს ძვ.წ. აღ.-ით IV-III საუკუნეების იბერიულ (ქართლურ) კერამიკასთან, რის გამოც, შესაძლოა, ეს ფრაგმენტი ყველაზე ადრეული იყოს ჯერ-ჯერობით მოპოვებულ მასალაში. მისი კიდე გახვრეტილია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დოქის დამტვრევის შემდგომ ეს ფრაგმენტი საწაფის ფუნქციით გამოუყენებით.

ამავე კონტექსტში გამოვლენილია აგრეთვე ცხოველთა ნაშთები (მგლის მენჯის ძვალი, ირმის ფალანგები, ძროხის ჩლიქი, ცხენის ქუსლის ძვალი).

ეს არქეოლოგიური კონტექსტი უნიკალურია არა მხოლოდ თავისი მდებარეობით, არამედ იმ სამეცნიერო პრობლემატიკით, რომლის გადაწყვეტა მხოლოდ ტბის ფსკერის არქეოლოგიური გამოკვლევითაა შესაძლებელი (ყორღანის ტბაში მდებარეობის, ფეოდალური ხანის არქეოლოგიური მასალის ტბაში არსებობის მიზეზი, გეოლოგიური პროცესები, რომელმაც ეს მოვლენები გამოიწვია, თანამდევი ეკოლოგიური ცვლილებანი).

2006 წლის ექსპედიციის საქმიანობა გააშუქა ტელეკომპანია „იმედმა“. წარმატებული ექსპედიციის საფუძველზე კი, მომდევნო ექსპედიციების ამოცანა ნათელი და კონკრეტული გახდა: უნდა დასრულდეს დაწყებული წყალქვეშა არქეოლოგიური სამუშაოები, სავარაუდო ყორღანული სამარხის გახსნის ჩათვლით, გაგრძელდეს მიმდებარე კულტურული ფენის დაზვერვითი სამუშაოები და ტბის მთელი ფსკერის თანამედროვე ელექტრონული ტექნოლოგიებით აგეგმვა.

სამწუხაროდ, მეცნიერებისა და განათლების სფეროში წარმართულმა „რეფორმებმა“, მრავალი წლით გადადო ფარავნის ტბის სამეცნიერო პრობლემატიკის კვლევა, სასურველი კი არის ნათელი მოეფინოს და ლოგიკურ დასასრულამდე მივიდეს ჩვენს მიერ მონიშნული თუნდაც ერთი პრობლემის მეცნიერული კვლევა.

არადა, უკვე კარგა ხანია რეგიონის პოტენციალის პრაგმატული გამოყენების სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტებია წამოწყებული: აქ გადის ბაქო-ჯეიჰანის გაზსადენისა და თბილისი-ყარსის რკინიგზის მნიშვნელოვანი მონაკვეთი, შენდება ჰიდროელექტროსადგური, რაც იმას ნიშნავს, რომ უახლოეს მომავალში რეგიონი აქტიურ სამეურნეო საქმიანობაში ჩაებმება, ასეთი საქმიანობა კი აუცილებლად უნდა დაბალანსდეს და ფარავნის წიაღთან მიახლება, მასზე ზრუნვა, მისით დაფარულის გაცხადების მცდელობა, კვლავაც უნდა დარჩეს ქართველთა სულიერი ცხოვრების მაცოცხლებელ წყაროდ.

აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ დღემდე ფარავნის მაცოცხლებელ პოტენციალთან სისტემური, მიზანმიმართული და ეფექტური, მადლმოსილი მიახლება, ძირითადად, საქართველოს საპატრიარქოს მეშვეობით, უწმიდესისა და უნეტარესის **ილია II-ის** კურთხევით ხორციელდება. ამ ძალისხმევის უთვალსაჩინოესი მაგალითი კი არის ოთხი დიდებული ქალბატონის – **იღუმენია ელისაბედ მესხიშვილისა** და **მონაზვნების: ნინო ავაზაშვილის, ნანა ქოროღლიშვილისა** და **შუშანიკ ქურთაულის**, სათნოებით სავსე ცხოვრება, რომლებმაც 1992 წლიდან მოყოლებული დღემდე მუხლჩაუხრელი შრომით ააღორძინეს ფოკის დედათა მონასტერი და განიცდიან და განგვაცდევინებენ ღმერთის, სამშობლოსა და ადამიანის ჰარმონიული ერთობის მადლმოსილებას. ფოკის მონასტრის დედათა ცხოვრება და ღვაწლი არამარტო ადასტურებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კონსტიტუციის მეცხრე მუხლით აღიარებულ ისტორიულ როლს, არამედ ერის თანამედროვე ცხოვრებისთვისაც ააშკარავებს მის გადამწყვეტ მნიშვნელობას.

---

◄

**რის შეწევნით აძევებსო ეშმაკთ. და მოივლიდა იესო ყველა ქალაქსა და დაბას, ასწავლიდა მათ სინაგოგებში და ქადაგებდა სახარებას სასუფევლისას, და კურნავდა ყოველგვარ „სენსა და ყოველგვარ უძლურებას ხალხში“.**

იმ ხანად ისრაელი საკმაოდ ხალხმრავალ ქვეყნად ითვლებოდა. იესომ ხალხი სამკალს შეადარა, ხოლო ისინი, ვინც მას უპატრონებდა, – მომკალს და ბრძანა:

– **„მაშ, ევედრეთ სამკალის უფალს, რათა მომკალნი მოავლინოს თავის სამკალში„;** სწორედ ამ მიზნით უხმო მან თავის თორმეტ მოწაფეს, რომლებსაც თავისი ძლიერების ნაწილი გადასცა, ადამიანისაგან ყოველგვარი სენისა და უწმინდური სულის განსადევნად.

ის თორმეტი მოციქულნი იყვნენ:

– **„სიმონი, პეტრედ წოდებული, და მისი ძმა ანდრია; იაკობი ზებედერი და მისი ძმა იოანე; ფილიპე და ბართლომე; თომა და მათი მებაჟე, იაკობი ალფესისა და ლებეოსი, თადეოსად სახელდებული; სიმონ კანანელი და იუდა ისკარიოტელი, რომელმაც გასცა იგი“.**

სწორედ ისინი **„წარგზავნა იესომ, უბრძანა და უთხრა მათ: წარმართთა გზით ნუ ივლით, და ნუ შეხვალთ სამარიელთა ქალაქში. არამედ მიაკითხეთ უპირატესად ისრაელის სახლის დაკარგულ ცხვრებს. მიაკითხეთ და უქადაგეთ, რომ მოახლოვდა ცათა სასუფეველი“.** სნეულთა განკურნება და ყოველგვარი სიკეთის ქმნა დაავალა იესომ მოციქულებს, ხოლო მარხულობისას, მათვე მოუწოდა ხალხს კი არ ჩვენებოდნენ მმარხველად, **„არამედ დაფარულში მყოფ მამას შენსას; და მამამ შენმა; რომელიც ხედავს დაფარულს, მოგაგოს შენ ცხადად“.** ბოლოს კი ასეთი სიტყვებით მიმართა:

**– „აჰა, მე გაგზავნით თქვენ, როგორც ცხვრებს მგლების ხროვაში; მაშ, იყავით გონიერნი, როგორც გველები და უმანკონი, როგორც მტრედები“.**

მაცხოვარმა ზუსტად აუსახა თავის მოწაფეებს გასავლელი ძნელი გზა, რომელზეც მრავალი დაბრკოლება, ზოგჯერ დამცირება და სიძულვილიც კი ელოდათ, და სიმტკიცისა და ერთგულებისაკენ მოუწოდა:

**„ნუ გეშინიათ მათი, რომელნიც ჰკლავენ ხორცს, მაგრამ არ შეუძლიათ სულის მოკვლა; არამედ უფრო გეშინოდეთ იმისა, ვისაც შეუძლია სულიცა და ხორციც წარწყმიდოს გეენას“.ხშირად** მიმართავდა მაცხოვარი მოციქულებს ასე: **„ყველას, ვინც მაღიარებს კაცთა წინაშე, მეც ვაღიარებ ჩემი ზეციერი მამის წინაშე“** და **„ვინც უარმყოფს კაცთა წინაშე, მეც უარვყოფ ჩემი ზეციერი მამის წინაშე“**, და **„ვინც არ აიღებს თავის ჯვარს და არ გამომყვება, არ არის ჩემი ღირსი, ვინც ჰპოვებს თავის სულს, დაჰკარგავს მას; და ვინც ჩემი გულისათვის დაჰკარგავს თავის სულს, მოიპოვებს მას; და ვინც თქვენ შეგიწყნარებთ, მე შემიწყნარებს; ხოლო ვინც მე შემიწყნარებს, შეიწყნარებს ჩემს მომავლინებელს“.**

ერთხელ, შაბათ დღეს, იესო თავის მოწაფეებთან ერთად ყანაში მიდიოდა. ძალიან მოშივდათ და თავთავების ჭამა დაიწყეს.

გაიგეს ეს ფარისევლებმა და მაცხოვარს უთხრეს: **„აჰა, შენი მოწაფეები აკეთებენ იმას, რაც ნებადართული არ არის შაბათს“**. მაშინ, იესომ შეახსენა მათ, როგორ შევიდა დავითი თავის მხლებლებთან ერთად ღვთის სახლში და შესაწირავი პური შეჭამა, რადგან ძლიერ მოშივდა. ისიც შეახსენა, რომ რჯულის მიხედვით, მღვდლები შაბათობით არღვევენ წესით დაკანონებულ უქმ დღეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უცოდველნი რჩებიან. ამიტომ უთხრა, კარგად ხსომებოდათ, რომ:

**„ძე კაცისა შაბათის უფალიც არის“.**

ერთხელ, სინაგოგაში შესულ იესოს – **„რათა ბრალი დაედოთ მისთვის“, –** ერთმა ხელგამხმარმა კაცმა ჰკითხა, – შეიძლებოდა თუ არა, შაბათს კაცის განკურნება?

მაცხოვარმა კითხვითვე უპასუხა, განა შაბათ დღეს, ორმოში ჩავარდნილ ერთადერთ საკუთარ ცხვარს არ გადაარჩენდა თვითონ? მითუმეტეს, კაცი რამდენად უმჯობესიაო ცხვარზე და დაასრულა:

– **„მაშ, შეიძლება შაბათ დღეს კეთილი საქმის ქმნა“** და იმ კაცს ხელი გაუმრთელა.

გადიოდა ხანი. იესო მრავალ სასწაულს ახდენდა; ამიტომ ბოროტმა ადამიანებმა, რომლებიც შურით აღივსნენ მისდამი, მოითათბირეს, პირი შეკრეს და მაცხოვრის მოკვლა გადაწყვიტეს.

შეიტყო ეს იესო ქრისტემ და იქაურობას გაეცალა.

უამრავი ადამიანი განკურნა იესომ: მუნჯები აალაპარაკა, ბრმებს თვალი აუხილა, თან ყველას სთხოვდა, არ გაეთქვათ, რათა აღსრულებულიყო ესაია წინასწარმეტყველის თქმული, რომელმაც ადრევე ბრძანა, რომ სულს დასდებდა თავის საყვარელ მსახურთან, ვინც სამართალს აუწყებდა ადამიანებს **„და მისი სახელი სასოებად ექნება ხალხებს“.**

ფარისევლები ფიქრობდნენ, რომ იესო ვერ გააძევებდა ეშმაკთ, მათი მთავრის ბელზებულის გარეშე, იცოდა მათი ნაფიქრალი იესომ **„და უთხრა მათ: ყოველი სამეფო, თავისი თავის წინააღმდეგ გაყოფილი, გაპარტახდება: და ყოველი ქალაქი, გინდა სახლი, თავისი თავის წინააღმდეგ გაყოფილი, დაიქცევა“.** მაცხოვარი მიმართავდა ხალხს – **„ვინც იტყვის სიტყვას კაცის ძის წინააღმდეგ, მიეტევება მას; მაგრამ ვინც იტყვის სიტყვას სულის წმინდას წინააღმდეგ, არ მიეტევება მას, არც წუთისოფლად და არც საუკუნო სოფლად“,** ისიც გახსოვდეთ, რომ **„ყოველი ფუჭი სიტყვისათვის, რომელსაც იტყვიან კაცნი, პასუხს აგებენ ისინი განკითხვის დღეს, ვინაიდან შენი სიტყვებით გამართლდები, და შენივე სიტყვებით განიკითხები“.**

იესო იგავებით ელაპარაკებოდა ხალხს და უნერგავდა სიბრძნეს.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

**ლევან გვეტაძე**

## ზელიმხან მაღრაძე

ათი წლის ბიჭი ვიყავი და, როგორც ყოველთვის, ზაფხულს ზედა თმოგვში ვატარებდი. ყველა მორბედი მაშინ კრავების მწყემსვით იყო დაკავებული. ამ საქმეში საკმაოდ გაწაფულები ვიყავით უკვე. ამინდის მიხედვით ვარჩევდით, რომელ დღეს რომელ მხარეს უნდა წაგვესხა ბატკნები. პაპანაქება სიცხეში ყრალჩრდილის თავზე ვაძოვებდით ხოლმე, იქ ყოველთვის ნიავი ქროდა და ეს ნიავი დიდი შველა იყო ჩვენთვისაც და მათთვისაც. ნისლის დროს, ხევის თავზე, არაფრით არ შეიძლებოდა კრავების წასხმა, ნისლს ყოველთვის მგელი დასდევს და საშიში იყო.

ერთ მშვენიერ დილას, ვიცოდით, რომ პაპანაქება სიცხე იქნებოდა, ფიქალგვერდისკენ წავასხით კრავი მე და ჩემმა ბიძაშვილმა – ავთომ. შუადღისას, როცა კრავი დაძღა და დაეყარა, ჩვენც გადავწყვიტეთ გვესამხრა და იქვე, კლდის ძირში, ამოვალაგეთ ჩანთებიდან ვისაც რა გვქონდა. მერე, ჩვენც წამოვუწექით და, როცა კრავი მოვიკითხეთ, აღმოჩნდა, რომ დაბლა ხრამში ჩასულიყვნენ ნეკერზე. დაბლა ჩასვლა დაგვეზარა, მაგრამ გაფრთხილებულები ვიყავით, რომ ხრამის თავზე სიარული გვეკრძალებოდა; ტყავის ქალამანი ბალახზე ისე ცურავდა, როგორც ყინულზე. ერთი ფეხის დაცდენა და პირდაპირ უფსკრულში მოადენდი ზღართანს, იქ კი მზის სხივიც არ სწვდება...

ქვების სროლით შევეცადეთ მათ ამორეკვას. რომ ვერა დავაკელით რა, უფრო მოვუმსხვილეთ ქვებს და, ბოლოს, საკმაოდ დიდი ქვების დაგორებამ ეფექტი გამოიღო. თანდათან იწყეს თიკნებმა ჩვენთვის საჭირო ბილიკისკენ ამოსვლა. მე ხელში ერთი საკმაოდ მოზრდილი ქვა მოვიგდე, სანამ დავაგორებდი, გავიფიქრე, რომ ის ჩემ საყვარელ შინდისფერ თიკანს მოხვდებოდა და ასეც მოხდა. თითქოს მაგნიტმა მიიზიდაო, მაინც და მაინც იქით გაიქცა ის საბრალო, საითაც ქვა მიგორავდა და... ქვამ უფრო ქვევით გადაისროლა საწყალი, რომელიც განწირული ხმით ჩხაოდა, უფრო უარესად მე ავბლავლდი. ძნელად წარმოსადგენი იყო, რას მეტყოდა დედა ან როგორ შევხედავდი თვალებში მას. ავთომ ყველა ღონე იხმარა, რომ გადაეთქმევინებინა ჩემთვის, იქ ჩასვლა. ბოლოს მე კრავებთან დავრჩი, ავთომ კი დედაჩემს შეატყობინა და ისიც მაშინვე იქ გაჩნდა. მის დანახვაზე უფრო ავტირდი და დედისკენ გავიქეცი. დედამ მაშინვე დამამშვიდა. ისე, უბრალოდ, ერთ სიტყვას იტყოდა და სულ გაგაბითურებდა. ახლაც უცებ გამაჩუმა. მერე ფეხზე ქალამნები გამხადა და ორივე დავეშვით უფსკრულისაკენ. თიკანი, რა თქმა უნდა, არ ჩანდა. მის ჩხავილზე დავიგულეთ, სადაც იყო და მალე მისი თავი უკვე მუხლებზე მედო და ვემუდარებოდი, გაჩუმებულიყო. დედამ ხელით მოსინჯა მუცლის არე და დაასკვნა:

– ეს აღარ გადარჩება, შვილო. სანამ უდანოდ, ესე იგი, უსისხლოთ მოკვდება, უნდა დავკლათ, თორემ, გადასაგდები გახდება. მერე წინსაფარში საგულდაგულოდ გახვეული დანა ამოიღო, რომელსაც სახლში ხანჯალა დანას ვეძახოდით. დანის დანახვამ შემძრა და მუდარით ავიკელი – დედა, ნუ დავკლავთ, იქნებ გადარჩეს-მეთქი, მაგრამ მკლავზე ხელი მომკიდა და დამაჯერებლად მითხრა :

– ეს მაინც მოკვდება, შვილო, ვერ ხედავ, როგორ იტანჯება? ამისთვის ახლა დაკვლა მადლია. მე ველარაფერი ვუთხარი და მოვყევი ზლუქუნს. აქ კი დედამ დანა ხელში შემომაჩეჩა და მანიშნა, რომ მე უნდა დამეკლა თიკანი.

– არა, დედა, ვერ დავკლავ, არ შემიძლია, არა!

– აბა, მე დავკლა?! მე, დედა ვარ, შვილო, ჩემი ხელიდან არ შეიძლება სიცოცხლის მოსწრაფება არაფრისთვის. საკლავი კაცმა უნდა დაკლას, აქ კი ჩვენ ორს შორის კაცი შენ ხარ და, გამოდის, რომ ეს შენი საქმეა. მე კვლავ ავტირდი და შორს დავიჭირე თავი. დედა კარგახანს დუმილით შემომყურებდა და ბოლოს მითხრა:

– კარგი, მოდი ასე ვქნათ, დანა შენ გეჭიროს ხელში, მე კი შენ ხელს ავიღებ, შენ შეგიძლია ზედ არც უყურო, შენი ხელით რაც საჭიროა, თვითონ გავაკეთებ... და ვიგრძენი, წინა სამი თითი როგორ გათბა სისხლისაგან. მაშინ, რაც მე განვიცადე, ნაკლებად საინტერესოა. ერთი კია, ჩემ სიცოცხლეში მე არაფერი არ დამიკლავს.

როცა გამოვშიგნეთ, დედამ მხარზე მოიგდო თიკანი და დავიწყეთ ამოსვლა ციცაბო აღმართზე. მე დედის ზურგს ვხედავდი, უკან გადმოგდებული ნაწნავი შედედებულ სისხლს გაესვარა და კაბაზეც ჩამოსდენოდა. რის ვაი ვაგლახით ამოვედით ხევით და ჩემ ქალამნებთან რომ მივედით, მაშინღა დავისვენეთ. გადავხედეთ ამოვლილ ბილიკს და ის იყო ჩამოვჯექით, რომ დედამ ხელი მოისვა მხარზე, სადაც ლეჩაქი ეგულებოდა და შეცბა:

– უი, ჩემ პატრონს. ხელმანდილი დამრჩენია ქვემოთ, შვილო, მე უბედურს. სოფელში თავშიშველი როგორ ავიდე. გზად რომ ვინმე შემოგვეყაროს, თავი მოგვეჭრება, საქვეყნოდ, მეც და მამაშენსაც.

– ვინ უნდა შეგვხვდეს, დედი? ამ შუადღისას ვის რა უნდა გზაზე? აი, ასე, ხევ-ხევ ავუყვეთ, ჩვენი სახლი ხევიდან პირველია, იქედან 40-50-ოდე ნაბიჯია გასავლელი, ვის რა უნდა, ან ვინ შეგვხვდება? წავიდეთ!

– ქალის ხევ-ხევ სიარული არაფრით არ შეიძლება, შვილო. არ არის წესი და... წამოდგა, რომ ისევ იქ, დაბლა, უფსკრულში ჩასულიყო; მე ამისი დაშვება არ შემეძლო, სანამ დედა ნაბიჯს გადადგამდა, მე ისევე მჯდომარე ჩავსრიალდი საკმაო მანძილზე და დავეშვი უფსკრულისაკენ. უკან დედის მუდარა მომვა – ნელა იარე, შვილო, ფრთხილად!

იქვე, ხელმანდილთან, ხანჯალა დანაც დაგვრჩენოდა. მე სახელდახელოდ რამდენიმე სახრე მოვჭერი და უკვე განაფული ჩასვლა-ასვლაში, მალე დედის კალთაში თავჩადებული ვითქვამდი სულს.

– აჰა, დედი, უბრალო ფარჩის ლეჩაქი ყოფილა და მეტი არაფერი. მაგრამ დანაც იქ რომ დაგვრჩენია?! მაინც მომიწევდა იქ ჩასვლა. დედამ არაფერი მითხრა, გაოფლილი შუბლი და თვალები კოცნით ამომიშრო და მერე ხელითვე მომწმინდა, მზეს გახედა, საჭირო ადგილას რომ დაიგულა, მივხვდი, რაღაც მნიშვნელოვანის თქმას რომ აპირებდა და გავყუჩდი.

– შენი დიდი ბაბო – პაპაშენის პაპის დედა, გოგაშნელი ქალი ყოფილა, გოხაძეების ქალი, მურჯახეთში გათხოვილი. ერთი ვაჟი ჰყოლია. როცა ქმარი მოჰკვდომია, აი ის, შენი დიდი პაპა, სამი წლის რომ ყოფილა, მაშინ დაქვრივებულა თამარი და თავისი საქორწინო მანდილი ქმრის საფლავზე დაუწვამს, იმის ნიშნად, რომ თვითონაც ასე სანთელივით დადნებოდა და დაიწვებოდა, ნამუსს კი მეუღლის საფლავთან შეუბღალავს მიიტანდა. როცა ერთი წელიწადი გასულა, სტუმრად მამამისი მისულა და მძახლისთვის უთხოვია: – გამოუშვი, ჩემი შვილი და შვილიშვილი ცოტახნით, ჩვენთან, გოგაშენში. მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ, როცა გაელვებით თამარ-ქალს გოგაშენში, ხედავს, მისი ქვრივის ტანსაცმელი და მანდილი ბუხარში იწვის. ხელები დაუწვამს საწყალს, მაგრამ ველარა გადაარჩინა ცეცხლისაგან.

ახლა ორი დღე გლოვობდა ხელმეორედ გარდაცვლილ ქმარს და გულში ჩაკრული ბავშვით ახლოს არ იკარებდა მუდარით სავსე დედას.

ქალმა ქალს როგორ მიღალატეო, დედა!




კიდევ ერთი კვირის შემდეგ ზედა თმოგველი – მაღრაძის ქვრივი კაცი მიადგა კარზე და... – ახლა ამას უნდა მისთხოვდეო, – უთქვამს მამამისს. დასაბმელი გამხდარა თამარი. ბოლოს ოდაში შევარდნილა, ტანზე გაუხდია და მამისთვის უთქვამს:

– თუ კაცები ხართ, შემოდით და აი ასეთი შიშველი წამიყვანეთ შარაზეო.

უნამუსოდ მოექცნენ, არც მოერიდნენ, შიშველ ქალთან შეუშვეს სასიძო. გულწასული თამარი გონზე რომ მოვიდა, უკვე ზედა თმოგველის მკერდზე იწვა. მოკლედ რომ ვთქვათ, ძალად გაათხოვეს თამარი ზედა თმოგვში. მაშინ ქალს ჭკუას ვინ ეკითხებოდა...

მურჯახეთელი მამამთილი თოფით დასდევდა გოგაშნელ მძახლებს, ასე უდიერად რატომ მომექეცითო, მაგრამ ისიც მალე შეეგუა ყველაფერს და თამარმა აქ დაიწყო ცხოვრება და აქაური ქმრისა და გვარის მორჩილი გახდა.

გავიდა ხანი და ამბავი მოვიდა, – სოფელზე მტერი მოდისო. დაირაზმა სოფელი, წვრილფეხა გოგო-ბიჭები აი აქ, ჩვენ ფეხქვეშ რომ ხევია, იქ დააბინავეს. ქალ-რძალი სამზადისს შეუდგა, სანოვაგის შეგროვება დაიწყეს, რომ ისინიც აქ ჩასულიყვნენ ბავშვებთან. სოფლის ხალხი ორად გაიყო, ნახევარმა რკინის წყაროსკენ შეიარა, ნახევარი კი – სარცხელიეზზე ავიდა, რომ მერე საყარაულოზე, ან პატარა მთასთან დახვედროდა მტერს. მაგრამ მტერი უფრო ფლიდი და მოხერხებული აღმოჩნდა. ისინიც ორად გაიყვნენ – ნახევარი პატარა მთისკენ გამოეშურა, ნახევარმა – გიორგი წმინდიდან, პატარა მთის უკანა მხრიდან, შემოუარა და ჭაჭკრის თავის მხრიდან მოადგა სოფელს. მერე რა დაინახეს, რომ სოფლის კაცები სოფლიდან გასულები არიანო, მათ, თანამზრახველებთან საომრად, ძალიან მცირე რაზმი სოფელში დატოვეს, დანარჩენები კვალდაკვალ აედევნენ ჩვენ ხალხს. უკვე გაჩაღებული ბრძოლა იყო და აშკარად სძლიეს ჩვენ სოფლელებმა მტერს, როცა უცებ, უკნიდან, წამოადგა ახალი რაზმი და აქ დაფრთხნენ კაცები. მარჯვენა მხრით, კალოებისკენ გაიქცნენ და ტყეს მისცეს თავი. როცა გონს მოვიდნენ, ისევ ტყე-ტყე გამოვიდნენ და მეორე დილას საგომოს მხრიდან შემოვიდნენ სოფელში. იქ მყოფი რაზმი დაამარცხეს და მათ ფეხდაფეხ მოსულ მდევარსაც კუდით ქვა ასროლინეს. მეზობელი სოფლის ქართველებიც მოშველებოდნენ თურმე. სოფლის ქალ-ვაჟი სამალავიდან ამოჰყავდათ, როცა იქვე, ხევში, ახალგაზრდა ჩვენ თანასოფლელი ქალი ნახეს ხრამში გადაჩეხილი. ნამუსახდილმა ქალმა, ისე რომ არც არავის უნახავს, აი ამ ხევს მისცა თავი თავისი და ქმრის ნამუსის ჩამოსარეცხად. ბალაანთ რძალი ყოფილა თურმე. სოფლის მღვდელმა პანაშვიდი გადაუხადა ომში დაღუპულებს. ყველა მიწას მიაბარეს და როცა სასაფლაოდან ბრუნდებოდნენ, ვილაც მოხუცმა დედაბერმა, ტყუილი თუ მართალი, ათას რამეს მოჰყვა ქალებზე და ჩაასმინა კაცებს, რომ, როცა თქვენ აქ არ იყავით და თათრები შემოვიდნენ, ამა და ამ ქალებს შეუცვივდნენ და იქ რაც მოხდა, ახლა თქვენ განსაჯეთო!

გააფთრებულმა კაცება ნაწნავებიდან ითრიეს დასახელებული დედაკაცები და მათრახის ცემით გიოაანთ კალოზე, ეკლესიის წინ, აპირებდნენ მათ საჯაროდ გასამართლებას. მღვდელი წინ გადაუდგა დაუცველ დედაკაცებს. ბრბო ზედ ინევდა, რომ უცებ, როგორც ქუხილი, ისე გაისმა თამარის ხმა და წინ წამოდგა იგი. სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა უმალ. მაშინ ქალები არ ქადაგებდნენ და გაუკვირდათ.

– ლაჩარნო და უგუნურნო!!! სანამ მაგ დედაკაცებს სამართალში მისცემდეთ, თქვენს თავს დაიხედეთ: კაცები გქვიათ და თქვენი საქციელიც კაცური უნდა იყოს. თქვენ თარაქმებზე უარესნი ყოფილხართ, ისინი მტრები არიან და მტრულადაც იმიტომ მოგვექცნენ, მოყვრად რომ მოსულიყვნენ, თქვენ ხმლების ქნევა აღარც დაგჭირდებოდათ. როცა თქვენ სოფელი მტერს გადაულოცეთ, თქვენი ჭკუით თუ უჭკუობით, მაშინ ნახდა ყველაფერი. აბა, ჩვენ რა მოგვაკითხებთ? ქალი დედაა, [illegible] თაობას აჩენს და ზრდის, რომ მერე იმათ დაიცვან სოფელი და ქვეყანა. ჩვენი ნამუსის დაცვაც თქვენი ვალია, ამიტომ გაგაჩინეს თქვენმა დედებმა. მე რომ შემკითხოდნენ, ჩემ ქმარს დავაკვდებოდი საფლავზე, მაგრამ შვილი მყავდა გასაზრდელი და ვერ გავიმეტე თავი. მერე გარდაცვლილ ქმართან შეუბღალავი ნამუსი მინდოდა მიმეტანა საფლავზე, საკუთარმა მამამ ძალლივით მზითვებში გამყიდა და ახლა აქაურ ქმარ-შვილს ვემსახურები, როგორც შემიძლია და თუ თქვენ მტერს სოფელზე გამოატარებთ და ისინი ჩვენ, ქალებს ნამუსს აგვხდის, აბა რა ჩვენი ბრალია. როცა გიჭირდათ, ფეხმძიმედ მყოფნი, უღელშიც შევბმულვართ და მიწა გვიფარცხია, რომ თქვენთვის შრომა შეგვემსუბუქებინა და ძუძუმშრალ დედებს ბავშვებისთვის პური გვეჭმია, [illegible] თქვენი გამარჯვებით [illegible] და დაღუპულებისათვის ღირსეული პატივი მიგვეგო. ჩვენ აქ, მტრის ხელში, დღეში ასჯერ ვიხოცებოდით და ისევ ვაგრძელებდით სიცოცხლეს, რათა თქვენთვის თბილი კერა და შვილები დაგვეხვედრებინა, ჭრილობები მოგვეშუშებინა და მარცხი შეგვემსუბუქებინა. სასიკვდილო განაჩენი ერთმა უკვე გამოუტანა თავის თავს და თავი მოიკლა. მან ჩვენც გაგვასამართლა, მთელი სოფლის ქალებს, მთელ მოდგმას გამოუტანა განაჩენი, მაგრამ რაოდენ დიდი იყო მისი დანაშაული, ხომ უნდა ვიკითხოთ?! კი, დედაკაცი ის ჭურჭელია, სადაც გვარისა და სოფლის ნამუსი ინახება, მისი წაბილწვა არ შეიძლება, ყოვლად დაუშვებელია, ამით რაღაც დიდი კვდება და ამიტომაც ადამის მოდგმამ თქვენ დაგაყენათ ჩვენი ნამუსის სადარაჯოზე, რომ იგი საგულდაგულოდ დაიცვათ.. თქვენ, ყველამ, ბრძოლაში მიმავალმა, თან წაიღეთ ჩვენი მანდილები, – ვინ დედის, ვინ ცოლის და ვინ გულის სწორის, თქვენ მათი და მათთან ერთად ჩვენი ნამუსიც წინ დროშასავით წაიმძღვარეთ და გვჯეროდა, რომ ვიდრე იმ მანდილებზე მტერი ფეხს დააბიჯებდა, უწინარემც თქვენ დაიხოცებოდით და თუ კი თქვენ უნდა გაქცეულიყავით, რისთვის წაიღეთ ჩვენი მანდილები. ჩვენ თვითონ შევაკვდებოდით ჩვენს ნამუსთან ერთად მტერს და თქვენი პატივმოყვარეობაც შეუბღალავი იქნებოდა... ახლა არიან ეს ქალები ცვედანნი?! თუმცა, თქვენც მართლები ხართ, ვაჟკაცებად ვერ გაუზრდიხართ თქვენს დედებს; აი იმ დედაკაცს, ენა მოსაჭრელ ღრძოს, ვინც თქვენ ენა მოგიტანათ, ერჩივნა შვილის გასაზრდელად თავი არ დაეზოგა. ახლა ვინ დაგედებათ მალამოდ გულსა თუ ჭრილობაზე? თქვენ ხომ ამ ქალებთან ერთად ყველა ქალი გაიმეტეთ საფურთხებლად. საფურთხებლად განწირული ქალი კი ვაჟკაცს ვერასოდეს შობს. თქვენგან ერთი სიტყვა იყო საჭირო, რომ წელში გასწორებულიყვნენ და შვილებისთვის მიეხედნათ. ერთი კაცური სიტყვა იყო საჭირო, რომ ისედაც გულმოკლული და დამცირებული ქალები ცას სწეოდნენ... ეგ მათრახები თავში რომ ირტყათ და თქვენ დასამარებულ კაცობას სტიროდეთ, ალბათ, უფრო მართალი იქნებოდა. აბა, თქვენ, დედაკაცებო, ნუ დაყრილხართ, ადექით და ბუმბული შეისწორეთ, წადით, ოჯახებს მიხედეთ და თქვენი მანდილები ამის შემდეგ მხოლოდ ღირსეულებს ანდეთ, რომ ბრძოლის ველზე დაჭრილს იარაზე სისხლის გასაჩერებლად დაეფაროს, მკვდარს კი – თვალებზე, რომ ყორანმა არ ამოუკორტნოს. ადექით და თავაწეულნი ნუღარ ივლით იქამდე, სანამ სოფელს ნამუს არ ჩამოსწმენდენ ღირსება აყრილი კაცები...

თვითონ დაუარა და სათითაოდ წამოაყენა კალოზე დაყრილი დედაკაცები თამარმა და ეკლესიისკენ გაუძღვა თვალცრემლიან მღვდელთან ერთად.

ზარები რეკვას მოჰყვნენ და საგანგებო წირვა დააყენა მოძღვარმა. წირვის შემდეგ ყველა უკლებლივ აზიარა, ვინც კი მონათლული იყო. ერთი კვირა, ყოველ დღე, ასე გრძელდებოდა, ხოლო მანდილები, რომელნიც ბრძოლაში ჰქონდათ კაცებს წაღებული, ერთი კვირა ეკლესიის გალავანზე გამოფინეს. კვირა დღეს საგანგებოდ აკურთხა მადლიანმა მღვდელმა ნაკურთხი წყლით ყველა მანდილი და საკუთარი ხელით დააფარა თავიანთ პატრონებს თავზე. ხოლო თამარი, შენი დიდი ბებო, იმ დღიდან სახლიდან აღარც გამოსულა და 50 წელს მიღწეული გარდაცვლილა. გიორგი პაპას მურჯახეთში წაუსვენებია და იქ დაუკრძალავს, როგორც თვითონ დაიბარა, თურმე. ხოლო მისი ლეჩაქი საფლავთან ჯვარზე ჩამოკიდეს, სანამ მზემ და ქარმა არ დაფლითა. ამიტომ მოვიკითხე ლეჩაქი, შვილო, რომ ხელმანდილის გარეშე ქალი ქალი აღარ არის და როცა მას მოიხდის, აღარც ქალი ვარგა ქალად და აღარც მისი ნაშიერი. მოხდილი მან-

დასასრული მე-6 გვ. ▶

# რამაზ ბერაძე

## ნუგზარ

აღარ გაილია ცრუ ხვალ,
დღე ღამეს ვერაფრით გაცდა,
და მშანთავს ყოფაში ნამგზავრს,
მწველი მოლოდინის განცდა.
აღარ გაილია ცრუ ხვალ,
ძლივს ჩანს სიმართლის გზაფლატე,

და ყოფა გამეტანს საფლავს,
გავლილს, შმიშისა და მინატრეს.
აღარ გაილია ცრუ გზა,
თუმც დროდ ზამთრის ძილი დადგა,
აღარ მენატრები ნუგზარ,
მივხვდი, ჩემში ცოცხლობ რადგან.

## თესეუს!

**თანამედროვე მითის გმირს**

უხილავ ბილიკს მზისკენ მიჰყვები, –
უარი ვნებას მწველი მირაჟის,
დათარეშობენ ნისლში ბრიყვები,
დასილულია ვარდი სილაში.

დრო სივრცეს ფიქრში შენივთებია,
ცისკენ მიიწევ ტანჯვაკირთებით,
უფალი კითხვის პასუხებია,
ადამიანი მხოლოდ კითხვები.

## პოეტს!

**თამარ ლომიძეს**

პოეტის სამყარო, ფარულად ხილული,
ფერებად ილევება ლექსების მთა-ველი,
დუმს, ფიქრობს, ცახცახებს,
შემდეგ განწირული
ხმით ამოიძახებს -
გამიშვი, ცა მელის.
ნიღბებად საკუთარ ორეულს ირგებენ,
და ვერშეგუების ტოლფასი გაფრენით,
იქ, ზევით, ზესკნელში!
– აქ, თუ ვერ მიგებენ, –
მელის სიხარულად ცხრა ზეცა, ცხრაფერი.
ასეა, პოეტი მიწაზეც დაფრინავს,
ზეცაში? ზეცაში ლაღია სტრიქონით,
თან ფიქრობს, – დამინდობს?
თუ, სულ მთლად გამწირავს
მომავლის აწმყოში დროქორონიკონი...

გაჯიროდეს, დრო ყველას კუთვნილ დროს მიუჩენს,
მაკინ რჩება წარსულში, ვინ სცდება მომავალს,
– არ ჩარჩე დროშიო! – შენც ცოტას იურჩებ
და იტყვი, – კარგია, აწმყოშიც რომა ვარ!..

***

თენდება, მთაწმინდა ბობოქრობს დუმილით,
საფლავებს სიჩუმე ეკრძალვის, უფერებს,
აქ, ლექსით ვადნობდით მოწყლულ გულს წუხელი
მე და მე, – ორი მე და ერთი ღრუბელი.
ცარგვალზე ცხელი მზე წუხილით ცახცახებს,
აქ სძინავს პოეტსაც და დროის ამყოლსაც,
დამძიმდა პარნასი, – ამდენ ხლამს რა დახევს,
და ელის საფლავად სხვა ნიჭს და სხვა მგოსანს..
პოეტი, ბოთლით და იმედით, ნაკლულით,
ჯერ კიდევ ზევიდან დაჰყურებს საფლავებს,
ფიქრებში შენივთდა აწმყო და წარსული...
და მაინც... უდაბურ, ბნელ ღამეს რა გალევს...

***

მოეშვა წარსული, დროდ ჩამოიღვენთა,
და გედმაც პირველად იმღერა სიმღერი,
სევდა დროს მალავდა, დრო სევდას მიმხელდა,
ღიმილშეპარული კაეშანნალეველით.
ღილივით აწყვიტა გული და მკერდიდან
უფსკრულის წიაღში უფრთოდ ჩაენარცხა,
დამარცხდა სურვილი, - უნდოდა ეფრინა,
ცხრა ცის ცისარტყელის ცხრა ხიდი ენახა.
თავდაღმა პკიდია სამყარო დაღლილი,
გულმკერდშენგრეული, ხელფეხგაბაწრული,
ტყვიადასახლელი თუ ტყვიადახლილი
ძალლივით ადგია ჩავლილი წარსული.
და იქვე მომავალს გაჰხადეს პერანგი,
გოდებს და გაჰყვირის პირწმინდად შიშველი,
შავთეთრად მირთო სიზმრები ფერადი,
მე მაინც არ ვითხოვ: დამინდეთ მიშველეთ
უკულმა ტრიალით აბრუნა დრო ჩარხმა
და უკანასკნელი დღეები მიდიან,
ჯვარზე ვარ გაკრული, ჯვარზე, თან, თავდაღმა,
დაღლილი სამყაროც თავდაღმა ჰკიდია.

## ლექსი რომელიც ჯერ არ შობილა

თეთრ ფურცელს ისევ შეუჩნდა ღამე
და შავი მელნით უპირებს შთანთქმას,
უპირო ნაშებს ულმობლად სვამენ,
თან აპირებენ შეთქმულთა გათქმას
დრო ვამპირები,
მწოვენ სიცილით,
ღამე კი რჩება უგრძნობ ძმობილად
და მითანაგრძნობს ფიქრით, იცი ვინ?
ლექსი, რომელიც ჯერ არ შობილა.
სულს ითქვამს მთვარე დილის ნიავით,
ვარსკვლავთა ფერხულს გასვლია ყავლი,
ისევ საოცრად დავაგვიანე,
დღის შვილი ღამის გავხდი ნადავლი.
სადღაც შორს, ბნელში, ეულად ბოლავს
ჩანაცრებული ცეცხლი ნუგეშის,

შემოაგელვებს მსახვრელი დრო რაშს,
ფიქრს გადაგელვებს სიჭაბუკეში.
ოცნება ძლივს დგას მორღვეულ ფრთებზე,
ზეცაც მიწაზე ჩამომხობილა,
ხვალ სიკვდილს უნდა დავუდგე ფეხზე
ლექსით, რომელიც ჯერ არ შობილა.



## ოდა სიცოცხლეს

ფარულად უმართავს მარულას
ფერად ფრანს ფრიალით აფრენილს,
ფრთათეთრი ფარფატა ფანტელი
და, თრთოლვით ადნება ქვაფენილს.
სიცოცხლე – სიზმრები ფერადი,
სიკვდილი – შავთეთრი ზმანება,
ფანჯრიდან მთვარემდე პოეტი
გაფრენილ აზრს დაემგზავრება.
ფურცლავენ ფოთლები ქვაფენილს –
სიყვითლეშეპარულ ფოლიანტს,
მზარავს მოზომილი საფრენი,
უსაზღვრო სივრცე კი შორია.

ფერადი ფანტელის ფარფატი
ფანტაზიურ მონახაზს მემორჩა,
ცა დნება, სანთელი ციალებს,
სანთლიდან აისის მზე მოსჩანს.
მაცდური მირაჟი ფლიდია,
სული კი ურწმენოდ მწირია;
სიკვდილი არც ისე დიდია.
სიცოცხლე არც ისე მცირეა.

***

ვთქვი და თავადაც ვერ გავიგონე
– საკუთარ ხმას არ მივუგდე ყური,
შემოპარათ ნუთუ სტრიქონებს
რული – სიცოცხლის ყრუ დასასრული.
ნათქემ სურვილებს ვეღარ ვიოკებ,
„მე“ გრიგალივით მოარღვევს მთაველს,
მთვლემარე სტროფებს დავაწიოკებ
– ერთ ლექსს ხომ მაინც მოვინადავლებ.
ერთხელ ხომ მაინც შევაწვდენ ზეცას
მბორგავ სიჩუმეს ამ გულისფეთქვის,

აბრდღვიალებს წითელი მზე ცას,
ერთხელ ხომ ვიტყვი, რაც ამჯერ ვერ ვთქვი.
ერთხელაც ისე შემიყვარდება,
ისე მარტივად, ისე უბრალოდ,
რომ როცა ყოფა ჩამოთავდება
ღიმილით ვიტყვი – გმადლობ უფალო,
სიყვარულისთვის.

## სულიერ ძმებს

უბიძგეთ, დრომ ამოისუნთქა,
დაიძრა, იხუვლა, აფეთქდა,
სულმქვდარი სიცოცხლე ვის უთქვამს,
დამთავრდა ყრუ სასოწარკვეთა.
ორი ძმა მამულის შვილი და
ორი ძმა, მამულის იმედი,
ღვთის ნებით სალათას ძილიდან
აპრილის დილამდე მივედით.
დღე თავისუფლებად გათენდა,
უგნურს კი წყვდიადი სწყურია,
ასრულებს სატანის დაკვეთას,
და ისევ დაბნელდა სრულიად.
დროკითხვა მარადი, სად არი
ნათელი?
– მზეს ბურავს ბრმა ნისლი.
ზვიადის, მერაბის სადარი
რწმენით წინ!
მამულს კვლავ დავიხსნით

***

„მორჭმით“ ზის ტახტზე ცოდვა უშვერი,
ბილწი ცხოვრების განაგებს ავკარგს,
შენ თუ არა, სხვა როგორ უშველის,
ღვთისგან ბოძებულს ულვთოდ რომ ჰკარგავ.
ციდან ცა გიმზერს ირმისთვალება,
მიწას ვერ წყვიტავ დაბინდულ მზერას,
თან ისე, ეჭვიც არ გეპარება,
უმზერ ჭეშმარიტ გზას ალმაცერად.

სამყაროს სტკივა შენი სიბეცე,
შენ გტკივა, „იქ“ ხომ არ დამსჯიანო,
უგვან კუზად რად ჩამოდრიკე სვე,
ეგებ, დაფიქრდე ადამიანო...

## შენ რა, დიოგენ!

საკუთარ ცხედარს ყვავილებით
წინ მივუძღვები,
უკან მომყვება პროცესია
ცრუსევდიანი,
და ვასამარებ გულს -
სიყვარულს „შვილი უძღები„
კითხვით -
სად არის ადამიანი?
„შენ ერთი როგორ სულ მართალი?
ყველა მტყუანი?!„
„ჭეშმარიტება მცირეშია“ -
გითქვამს რამდენჯერ.

ეჰ, ნეტავ მართლა
ყველა იყოს ადამიანი -
ღმერთის შვილობას -
უსაცდუროდ ეშმის -
დასჯერდეს.
ბედნიერებით
ვიქნებოდი მუდამ მტყუანი...
ეჰ, დიოგენევ,
ახლა ვნანობ,
რატომ არ გენდე,
ვერ გაანათებს წკვარამს
მხოლოდ შენი ფარანი.
მართალი იყავ,
სამწუხაროდ
არ სჩანს არავინ.

***

მარტოობის ზღურბლი
დგას და
ჩემში დამნაშავეს აგნებს.
მოჯარული ლეგა ღრუბლის
ფთილა,
სასწორს ათანაბრებს.
თეთრი ფთილა, ერთი ციდა,
დამსხვრეული
გზნების ჩრდილი,
მეფერება რუხი ციდან
უსასოოდ გზაშეშლილი.
გარეთ წვიმა მზეს აცრემლებს,
უთანაგრძნობს ზეცა წარსულს,
ცრემლი უკან ადის
მზემდე,
უმზეობა რადგან არ სურს.
მარტოობის ზღურბლზე ვდგავარ
სიშმაგისგან გზაშეშლილი.
გადავედი,
ისიც მე ვარ -
საკუთარი თავის ჩრდილი.
არაფერი, განა რამე,
სხეულს ორი ჩრდილი ტოვებს,
დამენანა არ მინანე,
და ჩრდილივით მიმატოვე.
უჩრდილოდ ხომ
უსხეულო
აჩრდილები რიალებენ,
მაინც საით იწევ, გულო,
ტკივილს თავი მიანებე
აგერ ზღვარი, რომ ილტვოდი,
აქეთაც ხარ, ხარ იქითაც,
არ მეგონა რომ ვიტყოდი -
ჩემი ბოლო წერტილი ხარ.

## რეზო ადამია

მხცოვანი ხელოვანი აფთარივით ებრძოდა სიბერეს და უკვე მოახლოებულ საშინელ სიკვდილს. უკვირს და გაოგნებულია მიქელანჯელო, რადგან მისი ქმნილებანი ეპოქის წინაშე გრანიტის კლდოვან მწვერვალებად აღმართულან და მარადიული ქალაქის დიდებას წარმოადგენენ; მხატვრის სიცოცხლის დასასრული კი მოახლოებულიყო. დიდმა მოქანდაკემ კარგად იცის თავისი იშვიათი ნიჭის ფასი... განცვიფრებულია, ასე ჩქარა როგორ შემოადნა რამდენიმე ათეული, შემოქმედებითად დაძაბული, წელი; არადა, რაა – დიდი მხატვრისთვის – „დავითის“ ქანდაკების ავტორისთვის, „მიჯაჭვული მონების“, „მოსეს“ და „პიეტებისა“; განსაკუთრებით ბოლო პერიოდის „პიეტა“, რომელიც მარად თანამედროვე ქანდაკებად დარჩება კაცობრიობის ისტორიის სივრცეში...

გადავხედოთ ავტორის საოცრად ჰარმონიულ და რომანტიულ „დღე და ღამეს“, ხოლო ყველასათვის მომნუსხველი და ცალკე საკვირველებაა ქანდაკებათა შორის „მიჯაჭვული მონები“. ღმერთო ჩემო, მადლობა შენდა, როგორი უსაზღვრო ზეძალა ჰქონია ადამიანის ნიჭსა და გენიას. ეს სასწაული – წყვილი ქანდაკებები, ზეადამიანური შთაგონებით და ღვთიური გენიითაა მარმარილოს ძვირფასი ქვისაგან გამოქანდაკებული და მათგან, საკვირველი და შემაშფოთებელი, ახლად ამოხეთქილი ვულკანივით ყრუ ქექა-ქუხილი გაისმის; „მიჯაჭვულ მონებში“ დედამიწის შინაგანი უშრეტი ძალის უზომო ცეცხლოვანი მასაა ჩაღვრილი. მიქელანჯელოს ამ ქანდაკებათ თანამედროვეობიდან ანტუან ბურდელის „ისრის მტყორცნელი“ თუ უდგას გვერდით (ბურდელის ეს ქანდაკება პარიზში, დორსეის მუზეუმის მეორე სართულზეა ექსპონირებული).

კანტიკუნტად, მაგრამ კაცობრიობის უწყვეტი გენიის ახალ და ახალ განვითარებაში აღმოცენდება ხოლმე ცივილიზაციის საოცრებანი. თავის დროზე ამდაგვარმა პროცესმა შვა, მიქელანჯელოს მეშვეობით, ქანდაკებები: „დავითი“ და „მიჯაჭვული მონები“. ამ გასაოცარ ქმნილებებში, მარმარილოს ქვაში, დაუტევადი სული და კოსმიური ძალაა შესისხლხორცებული. მათში ქვის ფაქტურასა და ფიზიკურ წონას ვერ გრძნობ; აქ მხოლოდ ქანდაკების (ქმნილების) ღვთიური თვისებები და მარადიული სულიერებაა აფეთქებული, მხატვრის ნიჭის შემოქმედებითი სულის აწყვეტის, მუზათა გახელების, ზღვარს გადაცილებული ვნებათაღელვის, ზეფანტაზიის – აღმაფრენის კულმინაცია და გენიის ტანჯვის მომგვრელი შემოქმედებითი წვაა, რითაც ვერ ედგომებოდა დედამიწაზე.

უნიკალური ლუვრის მუზეუმის, ძველი რომაული და იტალიის აღორძინების ხანის ქანდაკებათა დიდ დარბაზში, თითქოსდა ვერ ეტევიან მიქელანჯელოს „მიჯაჭვული მონები“, უსასრულოდ იტანჯებიან და უხილავად ილეწება მათი სული და ძვლები, გაწყვეტამდეა დაჭიმული კუნთები, დაბერილი არტერია, ძარღვები და აწეწილი ნერვები. მათგან გახეთქვასაა დარბაზის სივრცის და გარემოს განწყობილება. ოცნებაშიც [illegible]

ძიმესი ტანჯვისაგან განთავისუფლდებიან; იმდენად არიან მტკიცე ღვედით და უხილავი კოლოსალური ძალით შეკრულნი. სიმბოლურია აქ ყოველივე: რომ ადამიანი მარადიულ ტანჯვაშია და დედამიწაზე, სიცოცხლის დასასრულამდე მონობისთვისაა გაჩენილი. ჩვენს ურთულეს პლანეტაზე ჩამობრძანებით, მაცხოვარმაც ხომ იგივე პროცესი განიცადა, თუმცა ადამიანებს უზომო სიყვარული და სიკეთე გვიბოძა. ალბათ, ბობოქარი სამყაროს პატრონს და მის შემხედვარეს, არც თავის საღმრთო საბრძანებელში ექნება მშვიდი და ნათელი გარემო; ჩვენს წინაა უტყუარი ისტორიული სურათი – სამყაროში უმცირესმა ჩვენმა პლანეტამ რა დღეში ჩააგდო კეთილი იესო, უმოწყალოდ აწამეს და გააძევეს თავისი ატალახებული მიწის უბოროტესმა შვილებმა.

ერთ დროს მეფეთა, დედოფალთა, კარდინალთა და დიდებულთა მჩქეფარე ცხოვრების ამსახველი მატიანე, ლუვრის კედლები; „მიჯაჭვული მონების“ გაუთავებელი სტუმრობით უკიდურესად დაძაბული და ფსიქოლოგიურად შეკუმშულია. თავად ავტორი – მიქელანჯელო კი შორს, იტალიის მიწას შერწყმია და მისგან არაფერი ისმის, მხოლოდ მისი „მიჯაჭვული მონები“ უსასრულო დროით შებმიან მიწიერ დრამას. მათ ირგვლივ შემოჯარული დუმილის ქანდაკებები, იმპერატორთა, [illegible]

ცქერით განცვიფრებულან. უკან, ყოველი კუთხის უხილაობაში, დემონია ჩასაფრებული. დღევანდელი გაოგნებული და მორჩილი მაყურებელი მდუმარედ დადის ამ დაძაბულ სივრცე-გარემოში, კოსმიური ხრიალით ესმის მოხუცი მიქელანჯელოს სულის ჩივილგოდებისა:

**„ვარ მარტოსული და**
**განწირული**
**და მომწყვდეული,**
**როგორც ქერქია ხისა...**
**მე ვბზუი ისე, როგორც**
**კრაზანა,**
**ძვლისა და ტყავის ტომარაში**
**მოთავსებული...“**

მიქელანჯელო, როგორც ადამიანი და ტიტანი მოქანდაკე, მიწიერი და კოსმიური, დიდი ძალაა, ფიდიასის მერე საოცრება – მოვლენაა; ასევე ყველა ათასწლეულთა ბელადზე, მეფეზე და იმპერატორზე ამაღლებული და, მაინც, სადამდე მიიყვანა კოსმოსის შეუჩერებელმა დროის დინებამ და მისმა მიუკარება განაჩენმა. ასეთი სასწაულმოქმედი ადამიანი, მიქელანჯელო, თანდათან საშინელ წყვდიადს ბარდებოდა. კოსმოსი – დრო, სივრცე – გარემო და გარდამავლობა, უმოწყალოდ, ზემიწიერი ძალ-ღონით ქვესკნელისკენ ექაჩებოდა მას და დაუნდობლად სპობდა დიდ ხელოვანს... მოქანდაკის უკვდავი შედევრები კი განზე იდგა, საოცრება „სიქსტის კაპელას“ ჭერის მოხატულობაც თავისთვის ღელავდა... ამ [illegible] ლიდა და უპატიოსნესი ბერივით მორჩილი იდგა, თანაც, ბავშვივით უკვირდა, რა ადვილად ერეოდა და ცვეთდა უხილავი ძალა. კოსმიური შავი ჩრდილი უმოწყალოდ ანადგურებდა მის უზარმაზარ ადამიანურ ბუნებას და უსაშველოდ მიაქანებდა მიწიერ ყოფაში; მიწა უხმობდა – უახლოესი, დიდი და ურთულესი კოსმიური ფენომენი... საბოლოოდ მაინც, ასეთი ბუმბერაზი ადამიანი და ბიბლიურ ხელოვნებას შეწირული მოქანდაკე, ამდაგვარ სასტიკ აღსასრულს ალბათ არ მოელოდა, მაგრამ სიკვდილის ნება ყველასგან დაუკითხავად, ჯიუტად მოქმედებდა. უკიდურესად გახელებული „მიჯაჭვული მონები“ კი ბრდღვნიდა გარემოს; დაძაბულმა მოსემ, უხილავად გაიარ-გამოიარა. ამასობაში მიქელანჯელოს ტანჯვის ბორცვზე შემდგარი სული მწარედ გვახსენებდა:

**„ჩემი კბილები ისე ირყევა,**
**ვით კლავიშები კლავესინისა...**
**მაქვს პირისახე გაფითრებული...**
**ცალ ყურში მიზის მე**
**ობობა ქსელის მქსოველი.“**

ამგვარად, მოტეხა მიწიერმა და კოსმიურმა ბუნებამ ერთ დროს უდრეკი და შეუპოვარი მიქელანჯელო და ჩვეულებრივ მოკვდავს გაუთანაბრა.

**„მღერის ჭრიჭინა მეორეში**
**გათენებამდე...**
**ისე ვხრიალებ, თვალს რული**
**რომ არ ეკარება.**
**მე დიდებას რომ აღმითქვამდა,**
**იმ ხელოვნებამ**
**აი, სადამდე მიმიყვანა,**
**როგორ გათავდა.“**

სინანულით საყვედურობს ხელოვნებას, ხოლო სდუმან და ძლიერი პლანეტების დარად დგანან მისი „დავითი“, „პიეტა“, „მოსე“, „სიქსტის კაპელა“ – საოცრება ფრესკები, „მიჯაჭვული მონები“ და მრავალი სხვა. სამყაროს მთლიანობას შერწყმიან ისინი და ავტორის მალე გამიწიერება არც ადარდებთ. ამ სახის ბედისწერისაა ყოველი დიდი შემოქმედის დასასრული...

ასეთივე სასტიკ ბედისწერას ვერ ასცდა ლეონარდო და ვინჩიც; ლოგინად ჩავარდნილი მოხუცი, იმედის თვალით და განცდით დახვდა საფრანგეთის მეფეს. მბრძანებელიც ჩაეხუტა და მიეფერა მომაკვდავ ტიტანს, მაგრამ ბუნების ძალუმ პროცესს მეფეც ვერ შეაჩერებდა; მერმე, მცირედ დარჩენილ დროს, ლეონარდო და ვინჩი მოწყალების თვალით შეჰყურებდა მის წინ მოლბერტზე დაბრძანებულ „ჯოკონდას“, საოცარ ქმნილებას. მავედრებელი მზერით შესციცინებდა და, ვინ იცის, ამ უსაშველო უბედურებიდან ხსნის გარდა, კიდევ რას სთხოვდა თავის ყველაზე მნიშვნელოვან შედევრს. მაგრამ „ჯოკონდა“ შორეულ სიღრმეში იმზირებოდა და ვერ გრძნობდა შემქმნელის უმძიმეს გასაჭირს.

მიქელანჯელოც, – დედამიწის [illegible] სიკვდილს, კოსმიურ მკაცრ გარდუვალობას. აი როგორ მწარე და ტრაგიკულ სულიერ სურათს გვიხატავს იგი:

**„მე ვარ მოხუცი, უბადრუკი**
**და გათელილი**
**და ბედშავს ახლა სიკვდილი თუ**
**მიშველის მხოლოდ...**
**მოქანცული ვარ, გატანჯული**
**და მოტეხილი,**
**ჩემი სასტუმრო ერთადერთი**
**არის სიკვდილი...“**

– დარბაზში გრგვინვა-ქუხილით დაეძგერნენ ურთიერთს მოსე და დემონი, იდუმალებამ ელვად იმოქმედა მათზე და გაიფანტნენ.

მიქელანჯელო უკანასკნელად შეებრძოლა სიკვდილს და, – მიშველეთო, – ხრიალით აღმოხდა, მაგრამ მის წინაშე დუმდა ყოველი და ყოველივე... მასთან მხოლოდ კოსმიური უძლეველი ძალა აქტიურობდა, შავი, უზარმაზარი უხილავი მასა მძიმედ მოძვრებოდა მისკენ სასტიკ ჯალათად, თავის ბნელ საქმეს ასრულებდა და არავის არ ემორჩილებოდა. უსახო სიკვდილს უახლოეს გალაქტიკაში ერთ-ერთი ულამაზესი ვარსკვლავი გაუნადგურებია და შავი პლანეტის მბრძანებელს, ელვის სისწრაფით დიდ მოხუცთან გამოუგზავნია. დაუძლურებული მხატვარი, სიკვდილს ნელინელ ბარდებოდა და მორჩილობდა... მიქელანჯელოს ქმნილებანი კი, არც ერთის საქმეში არ ერეოდნენ, მიწიერი სიკვდილ-სიცოცხლე მათთვის ხომ ძალიან შორეული იყო და სრულიად უცხო. ყოველ შედევრთა უცნაურ დამოუკიდებლობას და გაურკვეველ განდგომილებას მივყავართ ისეთ დასკვნამდე, რომ ისინი უთუოდ იმ მესამე რაღაცაში უშუალო კონტაქტში არიან, რომელიც ჩვენგან ძალიან შორეულია, რის ძიებასაც უმოწყალოდ შეეწირა მისტიკოსი პოეტი ტერენტი გრანელი. ის მესამე რაღაც გონმიუწვდომელი ფენომენია, ბოლომდე შეუცნობადი, ალბათ სამყაროსაც გააჩნია თავისივე ზომის და სიდიდის ფარული, რაც თავისთავად შეუვალ იდუმალებას წარმოადგენს.

მარადიული შედევრების ავტორი კვდებოდა, დიდ ხელოვანს დრო უსწრებდა და სამოქმედოდ სიკვდილი ჩამოეგდო. ყოველივეს გამანადგურებელს შეევიწროებინა გარემო და გველის სუნი ტრიალებდა ირგვლივ. მიქელანჯელო კვდებოდა, იქვე ახლოს, მეზობელ სახლში, ბავშვი იბადებოდა. აქ კი შედევრთა მშობიარობა დასრულებულიყო და მრავალწერტილმა ვარსკვლავეთამდის ააღწია...



# ცამდე აწვდილი მანდილები

დასაწყისი მე-4 გვ.

დილი მხოლოდ დროშად გამოიყენებოდა. შენ რომ გაიზრდები და დავაჟკაცდები – თუ ომი იქნა, ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ შენ უნდა წაიღო ჩემი ლეჩაქი, შვილო იმ ომში. თუ იქამდე ვინმე გოგომ არ გამომტაცა შენი გული; მტერმა ვერ უნდა ითარეშოს ამ არე-მარეში, ხოლო თუ ითარეშა, შენმა თვალებმა ვეღარ უნდა ნახონ, რადგან უკან ვინც დაგრჩება, იმათ იამაყონ შენით...

ცრემლიანი თვალებით დამხედა, თითქოს უკვე ბრძოლის ველზე ვიწექი თვალებზე მისეული ლეჩაქ გადაფარებული, კიდევ ერთხელ მაკოცა და წამოდგა.

პირდაღებული ვუსმენდი დედას, მერე ქალამნები ჩამაცვა, საგულდაგულოდ შემიბნია თასმები, უხეში თმები ამიწეწა თავისი ლამაზი თითებით, თიკანი ზურგზე მოიგდო და სოფლის გზას გაუდგა.

მე ბატკნებთან და ჩემ ფიქრებთან ერთად დავრჩი, საღამოს კი გემრიელად შევექეცი მოხარშული თიკნის ხორცს. მეორე დღესაც რამდენიმე ნაჭერი საგზლად ჩაედო აბგაში დედას. გვიან მივხვდი, რა აზრი ჩადო დედაჩემმა ჩემს ნათქვამზე, თურმე როგორ ვაწყენინე, როგორ დავუწუნე უბრალო ფარჩის ლეჩაქი. მე ხომ გვირგვინი დავუწუნე დედას და აბა როგორ უნდა გაეგებინებინა – ჩემ ბავშვურ გონებაში სხვაგვარად როგორ უნდა შემოეტანა ის, რომ თავსაბურავი ქალის ღირსებაა, დროშასავით წმინდა და გვირგვინივით ბრწყინვალე, რისიც არ უნდა იყოს იგი – უბრალო თუ ოქროსი, დაფნისა თუ ეკლის. გვირგვინი ხომ დიდებას ანიჭებს ადამიანს, ეკლის გვირგვინიც ხომ უპირატესია გვირგვინთა შორის.

მას შემდეგ ფარულად ვუთვალთვალებ თავსაბურავიან ქალებს, გული და სული ზეობს, როცა ეკლესიაში ხელმანდილით ვხედავ დედაკაცებს. არა ისეთს, პატარა ცხვირსახოცებს რომ წაიკრავენ ხოლმე თავზე. მანდილიანი ქალის დანახვა მახარებს და მერე ვწუხვარ, რომ ეკლესიიდან გამოსულს ცოტა ვინმეს თუ მიჰყვება სახლამდე თავსაბურავი. რომ იცოდნენ, რა ლამაზები არიან მანდილით ისინი, არც კი მოიხდიდნენ არასოდეს, ან როგორ შეიძლება დროშის დაშვება, როცა სულში ზეიმია, თვითონ დედაკაცობა და დედობაა დღესასწაული. დედაკაცი ლეჩაქს მხოლოდ გლოვის დროს იხდიდა, ისევე, როგორც, სახელმწიფოს გლოვა რომ აქვს გამოცხადებული და დროშას დაუშვებენ ხოლმე. პირველად ულეჩაქოთ მეძავები გამოჩნდნენ სახალხოდ, ისე, არც კაცები დადიოდნენ უქუდოთ, ავთანდილმა და როსტევანმაც ხომ ნიძლავი ამაზე დადეს...

*2013 წ 14 ოქტომბერი*
*ქ. მადრიდი*

## მამუკა ზაალიშვილი

# სამცხე-ჯავახეთის თავადების - სულხან და მიხეილ ზაალის ძე მიქელაძეთა (შემდგომში თავად ზაალიშვილებად წოდებულთა) და მათ შთამომავალთა შესახებ

ეს გვარი საქართველოში მრავალ რაიონში გვხვდება, იგი ხშირად წარმოქმნილია დამოუკიდებლად და მოგვარეთა შორის ნათესაური კავშირი არ შეინიშნება. ყველა შემთხვევაში, გვარის წარმოებაში დომინირებს საკუთარი სახელი **ზაალ**, რაც სპარსულად, სიტყვასიტყვით, ნიშნავს **„მოხუცს“.** ეს სახელი ჰქვია **ფირდოუსის შახნამეს** ერთ-ერთი გმირის – როსტომის მამას, რომელიც მთლად თეთრი თმითა და წარბ-წამწამით დაიბადა. სწორედ ამიტომ მამამისმა – **საამმა** ზაალი – „მოხუცი“ დაარქვა. ქართველებს სახელი **ზაალ – „მოხუცი“,** სპარსულიდან უსესხიათ, ჯერ სახელად გამოუყენებიათ, მერე, რადგან გვარებში ყველაზე გავრცელებულ ლექსიკურ ჯგუფს საკუთარი სახელები შეადგენდნენ, იგი გვარის მაწარმოებელი გამხდარა. სწორედ აქედანაა გვარი **ზაალიშვილი.**

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ბევრ გვარს აქვს ქვეგვარი, გამონაყოფი, განტოტება, შტოგვარი. განშტოებას, უპირატესად, გვარის (ოჯახის მეთაურის) საკუთარი სახელი ან მეტსახელი – „თიკუნი“ უდევს საფუძვლად. ზაალიშვილების გვარი, როგორც ქვეგვარი, გამონაყოფი, განტოტება, შტოგვარი, მრავალ თავადაზნაურულ გვართან არის დამოწმებული (*ზაალიშვილები. _ აკად. იაკობ ახუაშვილი*), კერძოდ, ისეთ გვარებთან, როგორიცაა არის: თავადი **ჯამბაკურიანი** – ზაალის შვილი, თავადი **მაჩაბელი** – ზაალის შვილი, თავადი **ფალავანდის შვილი** – ზაალის შვილი, თავადი **დავითის შვილი** – ზაალის შვილი, თავადი **ბარათაშვილი** – ზაალის შვილი, თავადი **ანდრონიკეს შვილი** – ზაალის შვილი, თავადი **ჯანდიერისშვილი** – ზაალის შვილი, თავადი **ვახვახაშვილი** – ზაალის შვილი, თავადი **გურამის შვილი** – ზაალის შვილი ***(„შემოკლებითი აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“. იოანე ბაგრატიონი).***

ამათ გარდა, ზაალიშვილების გვარი, როგორც ქვეგვარი, გამონაყოფი, განტოტება, შტოგვარი, ასევე დამოწმებულია ისეთ გვარებთან, როგორიცაა – **ბაგრატიონი, ციციშვილი, სოლოღაშვილი, მიქელაძე, ამირეჯიბი** და სხვ. არიან აზნაური ზაალიშვილებიც, კერძოდ, საამილახვროს ძირად აზნაურ ზაალის შვილები, **საჯავახიანოს ადგილის აზნაურები** და თავად **ჩიჯავაძეთა** აზნაურებიც.

საქართველოში მრავლად არიან ბრწყინვალე თავადაზნაურული გვარები, რომლებმაც მნიშვნელოვანი ისტორიული როლი შეასრულეს ქართული სახელმწიფოს აღმავლობის, ძლიერების და განმტკიცების საქმეში. მათ შორის გამონაკლისი არც ზაალიშვილთა გვარია, რომელიც, სხვადასხვა მიზეზთა გამო, სხვა და სხვა დიდებული ფეოდალური სახლებიდან გამოყოფის (უპირატესად ოჯახის მეთაურის სახელის „ზაალ“) – გაგვარების შემდგომ, ჩამოყალიბდნენ, როგორც ამ ფეოდალური სახლებიდან სრულიად დამოუკიდებელ ზაალიშვილთა სათავადოებად, ასევე ამ გვარით შტოგვარებად, ამავე ფეოდალური სახლების წიაღში. მათ შორის ერთ-ერთი ღირსეული ადგილი უკავიათ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში სამცხე-ჯავახეთის თავად **მიქელაძეთა** ფეოდალური სახლიდან ოჯახის მეთაურის სახელის – **„ზაალ“** გაგვარების შემდგომ, ამავე ფეოდალური სახლის წიაღში ცალკე შტოგვარად ჩამოყალიბებულ თავად ზაალიშვილებს და მათ შთამომავლებს.

ზაალიშვილთა ეს შტოგვარი დააარსეს იმერეთში დიდი ფეოდალური სახლის მეთაურებმა – ***(სამიქელაძეოს მფლობელებმა)*** – XVII-XVIII საუკუნეების გამოჩენილმა პოლიტიკურმა და სამხედრო მოღვაწეებმა (რომლებიც დიდ როლს თამაშობდნენ საქართველოს და, კერძოდ, იმერეთის იმდროინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში), მამა-შვილმა – ოტია და გიორგი მიქელაძეების პირდაპირმა შთამომავლებმა – **ზაალ-ბეგად** წოდებულმა, ზაალ მიქელაძის უფროსმა ვაჟებმა პირველი ქორწინებიდან, **სულხან** და **მიხეილ ზაალის ძე მიქელაძეებმა.**

ეს მიქელაძეთა ის შტოა, რომელიც, ბედის უკუღმართობით, თავის სახლეულობასთან ერთად, გამოძევებული იქნა თავის სამემკვიდრეო მამულიდან – „სამიქელაძეოდან“, დასახლდნენ სამცხე-ჯავახეთში და ჩადგნენ ახალციხის ფაშის სამსახურში (ისინი დასახლებულნი იყვნენ აბასთუმნის ტერიტორიაზე).

**„მიქელაძე, ვაკის თავადი 1660 წელს, მიქელ მთავარი, იყო მოსახელე ვანისა და აზრუმის საშუალ ადგილისა ტარონსა შინა. ესე მიქელ მსახურებდა ალექსი კეისარსა, რომელსა მისცა დაი თვისი ცოლად და ამათგან იშვნენ ორნი ძენი: გრიგოლ და იოანე, რომელნიც იწოდებოდნენ პროსსებესტოდ 1085 წელს. მერედ შემდგომ თურქთაგან დაპყრობისა ამათნი გვარნი მოვიდნენ იმერეთს და მიიღო მეფემან მიქელაძეებად თავადებად. მათნი მდაბალნი სახლიკაცნი მიქელაშვილებად აზნაურებად. პირველნი ცხოვრობენ იმარეთს, მეორენი ქართლსა“** ***(„აღწერა საქართველოს თავადაზნაურთა გვარებისა“. იოანე ბაგრატიონი).***

დიდი ფეოდალური გვარებიდან სრულიად დამოუკიდებელ გვარად გამოყოფა, ქვეგვარად, განშტოებად ან ამავე ფეოდალური სახლის წიაღში შტოგვარად ჩამოყალიბება ქართული სინამდვილისთვის უცხო არ იყო, მიზეზი კი სხვადასხვა, უმეტეს შემთხვევაში, სოციალურ და საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ოჯახის წევრებს შორის წარმოქმნილი დავა: ოჯახის უფროსის გარდაცვალების, ან უკეთეს შემთხვევაში, ხელმეორედ ქორწინებისას, მათ შთამომავლებს შორის იწყებოდა ნამდვილი ომი გვარში პირველობისა და საკუთრების უფლების მოსაპოვებლად. დავა, უმეტეს შემთხვევაში, მშვიდობიანი გაყრით, ხოლო რიგ შემთხვევაში – მსხვერპლითაც მთავრდებოდა.

სამცხე-ჯავახეთის თავად მიქელაძეთა ფეოდალური სახლიდან ამავე ფეოდალური სახლის წიაღში თავად ზაალიშვილთა ცალკე შტოგვარად ჩამოყალიბების მიზეზად სწორედ სოციალური და საყოფაცხოვრებო მიზეზები სახელდება.

**სულხან** და **მიხეილ ზაალის ძე მიქელაძეებს** დედა ადრე გარდაეცვლათ, მამამ – ზაალ მიქელაძემ ხელმეორედ იქორწინა. დედინაცვალთან მუდმივად დაძაბული ურთიერთობა, რისი მიზეზიც იყო გვარში ბრძოლა პირველობისთვის და ქონებისა და სხვა სამემკვიდრეო უფლებებისთვის, მსხვერპლით დამთავრდა. ამიტომ, მოზარდები იძულებულნი გახდნენ მიეტოვებინათ მშობლიური კერა და გაქცეულიყვნენ მთაში, სადაც მთელი ორი წლის განმავლობაში, მწყემსებთან იმალებოდნენ. შემდეგ გადმოვიდნენ ქართლში და დასახლდნენ ჯერ ქ.გორში, ხოლო შემდეგ, – ქ.თბილისში. მათ იმის შიში ჰქონდათ, რომ ზაალ მიქელაძე და მათი ნათესავები, ძებნას დაუწყებდნენ და იპოვნიდნენ. მათ, წასვლისას, სახლიდან წაიღეს ძვირფასეულობა – ოქროს და ვერცხლის სამკაულების სახით. თბილისში ცხოვრებისას, დამალეს თავიანთი ნამდვილი გვარი – **მიქელაძე,** გაიგვარეს თავისი მამის სახელი – „ზაალ“ და აღირიცხნენ, როგორც იმ დროს იყო მიღებული – გვარის რუსული დაბოლოებით – **„ზაალოვ“**-ად, ე.ი **ზაალის შვილად**, შემდგომში **ზაალიშვილად.**

მიუხედავად იმისა, რომ სულხან და მიხეილ მიქელაძეებმა ოფიციალურად გაიგვარეს მამის სახელი **ზაალ – ზაალიშვილად**, საზოგადოებაში მათ მაინც თავდაპირველი ორი გვარით – **მიქელაძე-ზაალიშვილად** მოიხსენიებდნენ. რადგან საქართველოში, როგორც მანამადე, ისე იმ დროისთვისაც, მამის სახელის გაგვარება ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა, ამიტომ ისინი, როგორც მანამადე, სარგებლობდნენ პატივისცემითა და პრივილეგიებით. დროთა განმავლობაში, **მიქელაძე-ზაალიშვილებს** ჩამოსცილდათ გვარის პირველი ნაწილი – **მიქელაძე** და მათი შთამომავლები შემდგომში იწერებიან მხოლოდ ერთი გვარით – **ზაალიშვილი *(თავადნი).*** გვარის რუსული დაბოლოებით – **„ზაალოვ“**. ზაალიშვილთა ამ გვარიდან მხოლოდ იმ პირებს მოიხსენიებენ, რომლებიც, რუსეთის იმპერიის პერიოდში, სახელმწიფო, სამხედრო ან სამოქალაქო ადმინისტრაციული სამსახურით იყვნენ დაკავებულნი.

სულხან და მიხეილ ზაალის ძე მიქელაძე-ზაალიშვილებს, ხშირად მაჩაბელთა ფეოდალური სახლიდან გაყრის შედეგად გამოყოფილ ზაალიშვილთა შტოსთან, რომელსაც ხშირად მესხეთის შტოდაც მოიხსენიებენ, მათი იქაური წარმომავლობის გამო, აიგივებენ, რაც, თავისთავად, სიმართლეს არ შეეფერება, თუმცა, არც საფუძველსაა მოკლებული. ამას ზაალიშვილთა ამ ორი სხვადასხვა შტოს წარმომადგენლებიც ადასტურებენ. ქ. თბილისში ცხოვრების ადრეულ, მათთვის მძიმე პერიოდში, სულხან და მიხეილ მიქელაძე-ზაალიშვილებმა გაიცნეს და დაუახლოვდნენ **გიორგი იასეს ძე ზაალიშვილს** და მის ოჯახს. ეს ზაალიშვილთა ის შტოა, რომელსაც **ზაზა ზაალის ძემ,** შიდა ქართლის მოურავად წოდებულმა, **ზაალ მაჩაბლის** შუათანა ვაჟმა, მე-18 ს-ის პირველი ნახევარის მიწურულს, მსხვილი ფეოდალური საგვარეულოს მაჩაბლებიდან გამოყოფის შედეგად, სათავე დაუდო ზაალიშვილების საგვარეულოს. მისი ვაჟი – ზაალი, სამეფო კართან უთანხმოებისა და **პაატა ბატონიშვილთან** ერთად შეთქმულებაში მონაწილეობის გამო, გაექცა ერეკლე მეორის რისხვას, გადავიდა ახალციხეში და მსახურობდა ახალციხის ფაშის კარზე. სწორედ მან დაუდო სათავე მესხეთში ზაალიშვილთა ამ შტოს. ეს ის **გიორგი იასეს ძე ზაალიშვილია,** რომელიც, რუსეთის არმიის მიერ ახალციხის აღების შემდეგ, ისევე, როგორც ახალციხეში მცხოვრები სხვა თავადაზნაურების უმეტესი ნაწილი, დაუფიქრებლად შევიდა რუსეთის იმპერიის სამხედრო სამსახურში, მიიღო პოლკოვნიკის ჩინი და აღუდგინეს ყველა პატივი, ღირსება და ხარისხი.

ზაალ მიქელაძის ოჯახში დატრიალებული ტრაგედიის (იგულისხმება მის ოჯახში ჩამოვარდნილი შუღლი მემკვიდრეებს შორის) შემდეგ, მათზე არავითარი დოკუმენტური თუ ზეპირსიტყვიერი მასალა აღარ მოიძებნება, მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ტრაგედიის მერე სამცხე-ჯავახეთის მიქელაძეთა ამ შტომ, ამ გვარით, არსებობა შეწყვიტა და მამის სახელის – **„ზაალის“** გაგვარების შემდეგ **ზაალიშვილებად** იწოდებიან..

გიორგი მიხეილის ძე ზაალიშვილი ახალციხეში ცხოვრების პერიოდში, ცნობილი იყო თავისი პატიოსანი და ვაჟკაცური ცხოვრების წესით, მას არაერთხელ გაუკვირვებია, თავისი მამაცობით, იმდროინდელ სამცხე-ჯავახეთში, კერძოდ, აბასთუმანში დასასვენებლად ჩასული მაღალი საზოგადოება, რადგანაც, მისი იქ მოღვაწეობის პერიოდში, აშკარად იგრძნობოდა ეთნიკურად სომეხ, თურქ და მუსულმან მესხებს შორის ურთიერთ დაპირისპირება. როგორც მისი თანამედროვენი იგონებდნენ, თუ არა მისი დიდი ავტორიტეტი, გონებამახვილური, დიპლომატიური მიდგომა, არსებული მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდებოდა. ახალციხეში 30-წლიანი ცხოვრების შემდეგ გიორგი ზაალიშვილი ოჯახთან ერთად საცხოვრებლად ისევ ქ.თბილისში გადადის და მუშაობას იწყებს საქალაქო საბჭოში – მაზრის სამმართველოს მრჩევლის თანამდებობაზე და ენიჭება თადარიგის გენერლის წოდება. როგორც მისი ახლობლები და თანამედროვენი იგონებენ, იგი, გარდა საუკეთესო ადამიანური თვისებებისა, იმავდროულად, დიდი იუმორის პატრონიც ყოფილა – თბილისის მაღალ საზოგადოებაში ხშირად იხსენებდნენ მის ფრთიან ფრაზას – “Какое ваше дело флот, ваше дело делать толму, толма вот ето мдаа” ……..

ამის თაობაზე ერთი საინტერესო ეპიზოდი შემორჩა: ერთხელ, თურმე, სომხეთს თბილისელთა დელეგაცია ეწვია – სევანის ტბაზე პირველი კატერის წყალში ჩაშვების ცერემონიალზე, რომელიც გაიმართა დევიზით: „Ето первая ласточка армянского флота“; მის შემადგენლობაში – თბილისელ სომხებთან ერთად, ქართველი არისტოკრატიის წარმომადგენლები და, მათ შორის, გიორგი ზაალიშვილიც ყოფილა მიწვეული. კატერის წყალში ჩაშვებისთანავე, ცერემონიალი მისი ჩაძირვითა და მასზე მყოფი სომეხი ინტელიგენციის წარმომადგენლების – სტუდენტების, გიმნაზიელების სევანის ტბის ცივ წყალში „ბანაობით“ დასრულდა. ქართულმა დელეგაციამ და, მათ შორის თბილისელმა სომხებმა, მიუხედავად მასპინძლების დიდი თხოვნისა, კატერზე ასვლისაგან თავი შეიკავეს.

ზაალიშვილთა გვარის შთამომავლებმა კარგად იციან თავიანთი გვარის ისტორია – სად, როდის და რომელი ფეოდალური სახლის წიაღიდან მოდიან და, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მიმოფანტულნი არიან სხვადასხვა კუთხეში, სამართლიანად მიიჩნევენ ამ ზაალიშვილთა გვარის ფუძედ სამცხე-ჯავახეთს, ამაყობენ თავის წარმომავლობით და, ისევე, როგორც მათი წინაპრები, ღირსეულად განაგრძობენ ღმერთის, ერის და ქვეყნის წინაშე პატიოსან სამსახურს.

## გიორგი ზედგინიძე

(გაგრძელება. დასაწყ. იხ №12 2013 წ.)

**31 მარტი.** ამდენი გაწამაწია. დღე არჩევნებისა და რეფერენდუმის ძლიერ მშვიდად ტარდება. უბანში საკმაოდ ბევრი ხალხია მოსული, მაგრამ არავითარი დაძალება, გადათქმა-გადმოთქმა, – ამას მიეცით ხმა, იმას დაუჭირეთ მხარი. სხვაგანაც ჩანს, ასეა. უფრო ჯავახეთში, ახალქალაქ-ბოგდანოვკაში როგორ იქნება, ეს არის საკითხავი. გუშინდელ გაზეთში ჯავახეთის სომხებისადმი ზვიად გამსახურდიას მიმართვა გამოქვეყნდა. მაგრამ ეს ხომ ძლიერ დაგვიანებულია, ეს რამდენიმე დღით ადრე მაინც უნდა გამოქვეყნებულიყო, რომ შედეგი ჰქონოდა.

ჩვენი ტელევიზიის ცნობით, სამაჩაბლოში სროლა შეწყვეტილია, საკავშირომ კი, პირიქით, ამ უკანასკნელ დღეებში მაინც სულ მოუხშირა იმგვარ გადმოცემებს, რომლითაც აშკარად გამოხატავს ოსური ექსტრემიზმისადმი თანადგომას. ამ საღამოს გადმოსცეს გორბაჩოვის დეპეშის ტექსტიც, რომელშიც ზვიად გამსახურდიას წინადადებას აძლევს – „შეწყდეს ოსთა მიმართ უკანონო მოქმედება". ეს, ჩანს, რაღაც ექსცესი მზადდება. ალბათ ისეთი, ან იმის ვარიაცია, როგორიც ბაქოში იქნა გატარებული.

იქაც, მოსკოვში, შეტევები სწარმოებს ელცინის წინააღმდეგ. ალბათ, კულმინაციამდეა მისული ბრძოლა. ვინ-ვის, – ვნახავთ! გაიმარჯვებს თუ არა დემოკრატია? თუმცა, საპირისპირო ძალამ რომ გაიმარჯვოს?! ეს დროებითი იქნება.

**5 აპრილი.** როგორც აცხადებენ, აგერ ორი-სამი დღეა ცხინვალში ჯარების შეყვანა სწარმოებს. სკოლების, წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები გაუფრთხილებია პრეფექტს – შეიძლება ომი დაიწყოს და აქაც მოგვიწიოს ბრძოლაში ჩაბმაო. ცხინვალში, მილიციას, შინაგანი დაცვის ჯარები ერეკებიანო. ცხადია, ცენტრი რაღაც დიდ აქციას ამზადებს. მაგრამ მეშახტეთა გაფიცვებია ბელორუსიაში – მინსკსა და სხვაგანაც. ერთი სიტყვით, ეს რყევაა ცენტრის, რაც მისცემს მას საშუალებას ისეთი რამ განახორციელოს, რაც ბაქოში ან სხვაგან მოიმოქმედა.

**9 აპრილი.** დღეს საქართველოში უმაღლესი საბჭოს სესიამ „დამოუკიდებლობის აქტი" მიიღო ზარ-ზეიმით. ამას მოჰყვა დიდი მიტინგი. აბა, ჩვენს ხელისუფალს მიტინგობა მზის სინათლედ ესახება და ასეთ შემთხვევაში ხომ... სხვაგანაც ზეიმობს ხალხი თურმე.

**12 აპრილი.** დასავლეთ საქართველოს რკინიგზის და პორტების გაფიცვა გამოცხადდა. სამაჩაბლოში ისევ გამწვავებულია მდგომარეობაა.

**13 აპრილი.** ახალციხეში დავრეკე. წელმ... მიპასუხა: ვალოდია არ არის სახლში, ქალაქშიც არ არისო. ისიც მითხრა, რომ სამსახურიდან მოხსნესო. ვინ, რატომ? – გაუგებარია. ტელეფონზე ამას არ ამბობს. ორშაბათს ჩამოვალ და გეტყვიო.

**14 აპრილი.** დღესაც სესია ჩატარდა. პრეზიდენტის არჩევის კანონი მიიღეს და პრეზიდენტად ზვიად გამსახურდია აირჩიეს. თავის გამოსვლაში ზვიადი ბრძანებს: მე არ მინდოდა პრეზიდენტობა, მაგრამ, ამ განსაკუთრებულ ვითარებაში, აუცილებელია ესო! არ უნდოდა, თორემ ბავშვობიდან არ ოცნებობდა ამაზე, მაგრამ ეს არაფერი! მთავარია, თუ გაიტანა თავი და, რაც მთავარია, ხელს შეუწყობს, მოხდეს ერის კონსოლიდაცია? ვინც ქვეყნის, ერის დაყოფას დაიწყებს, ის ქვეყნის მტერი იქნება, მიუხედავად თავის მიზნებისა.

**18 აპრილი.** ვალოდია დაცვიდანაც გაუთავისუფლებიათ. ეს პრეფექტის წყალობა უნდა იყოს. დილით ჩამოიარა ვალოდიამ მანქანით და თბილისში წავედით. მინდოდა მენახა კოტე ჩოლოყაშვილი. ვერ ვნახე. აკაკი ხინთიბიძესთან ერთად ჯონდი ბარდაველიძესთან მივედი. ვესაუბრე. ასეთ საქმეებში ზვიადი არ ერევა. ეგ სხვების ნამოქმედარი უნდა იყოსო. გამოვბრუნდი.

**23 აპრილი.** რა საშინელი ამბები მოაქვთ. გუჯარეთის ხეობა აყრილია. გარბიან. აწიოკებენ. არბევენ. პირუტყვი თუ სხვა რამ ქონება დაუტაცნიათ. ქვევით ჩავედი. ბაზრის წინ გივი ღამბაშიძე მოდის. აქ არის ოთარიც, მანქანაში ზის. ძლიერ შეწუხებულია ორივე იმ ამბებით, რაც ხდება. ბაკურიანიდან მიქაბერიძეებია. ჩვენ ამ არაფორმალებთან შებრძოლება მოგვიწევს. არბევენ ისეთებსაც, დედა ქართველი რომ ჰყავს, ქართველი ჰყავს ცოლიც, არის ქართული სულისკვეთების. როგორ შეიძლება ასე მოექცეს? ერთადერთ იმედად ის მესახება, როგორმე ხელისუფლების მაღალ ორგანოებში მიაწვდინონ ხმა. გივი მპირდება, რომ აკაკი ასათიანს დაურეკავს.

**24 აპრილი.** დამირეკეს რუსთაველის საზოგადოების ბინის საკითხზე. უნდა შევიდეთ პრეფექტთან და თუ მოგვყვებითო. ჩავედი. შევედით პრეფექტთან. ჯერ ბინის საკითხზე გაიბა საუბარი. შემპირდა რაღაც ნაწილის მიცემას. მერე გაზეთს წაიკითხავდითო, – თქვა. განრისხებულმა გადმოიღო რაიონული გაზეთის წინა დღის ნომერი. წაიკითხა წერილი, რომელშიც ოსთა რბევის გამო ლიკნის სკოლის მასწავლებელთა შეშფოთებაა გადმოცემული. ემუქრება რედაქტორსაც. ეს ხომ „ვრემიაზე" უარესია. პირდაპირ წყალს ასხამს მას. მაგრამ, ასეთი მოქცევა? არაადამიანური – დატაცება, რბევა, ხომ დაუშვებელია, – ვეუბნები მე. ომი გვაქვს, ომს ყოველთვის მოსდევს ასეთი რამ. ამან გამოამჟღავნა ჩვენი ხალხის მტაცებლური ბუნებაც. ჩვენი ხალხის ჩამორჩენილობა, – მპასუხობს იგი. ვერ მოვუარეთ თავს: კურტანიძეები, თედიაშვილები, ქართველებია, – ამათ ნუ არბევენ. დაიცავით, – ვეუბნები... წავიდეს ის, ვისაც სინდისი არ აქვს თავისუფალი. ვეხმარებით ასეთებს. ვინც პატიოსანია, იმას ვინ კრავს ხელს, მაგრამ მე გარანტიას ვერ მივცემ, რომ ხელს არ ახლებენ. – ბრძანებს იგი. თუ ესენი თავისივე მიმდევარ არაფორმალებს რომ უწოდებენ, ვერ აკავებენ, სრული ანარქიაა მაშინ, თუმცა ამათ ხომ ანარქიამდე მიიყვანეს ქვეყანა.

**29 აპრილი.** შუადღეა. დაბლა ოთახში წამოწოლილი ვარ. თითქოს ჩამთვლიმა კიდეც. ვგრძნობ რყევას. თანდათან ძლიერდება. შევხედე ჭაღს. ირხევა. ხევში ხრიალიც გაისმა. ზედა ოთახიდან რუსიკო და ნაილი ბავშვებიანად გამოვიდნენ გარეთ. მიწისძვრაა. თანაც ძლიერი. 1 საათი და 25 წუთი იქნებოდა. დავრეკე ფაფაში, რადგან აქ უფრო საშიშია. არაფერი არ არის. ძალიანაც კი შეირყა სახლიო – მეუბნება დისშვილი, მაგრამ, ნგრევა არ მომხდარა. 68 თუ 69 წლის მსგავსად, შეიძლება ჩვენი ხეობის სათავეებში იყო ეპიცენტრი. რედაქციაში დავრეკე. არაფერი იციან. ახალციხეში დავუკავშირდი, როგორც იყო. თიკამ მიპასუხა: ძლიერი ძვრა იყოო. სახლების დაზიანებაზე არაფერი გამიგიაო. ცოტა მერე რედაქციიდან მითხრეს: თბილისში 4-5 ბალის მიწისძვრა ყოფილა. მოსალოდნელია ისევ სამხრეთიდან (ჯავახეთი-სომხეთი) იყო ეპიცენტრი. რაღაც ისეთიც მივლის გულში, ვაითუ ჩრდილოეთით – იმერეთისკენაა. ცოტა მოგვიანებით ომაზი ჩხეიძემ დამირეკა და მითხრა: ძვრის კერა წყალტუბოში ყოფილა. ქუთაისი, ზესტაფონი დანგრეულაო. უფრო გვიან კი გაირკვა – ჭიათურა, საჩხერე, ონი და ამბროლაური დაზიანებულა. გვიან ღამით კი აჩვენეს ტელევიზორში რა საშინელი კატასტროფა დასტეხია თავს საჩხერეს, ამბროლაურს, ონს, აგრეთვე ჯავას. ეს გვინდოდა კიდევ? 9 აპრილი, 19 აპრილი და კიდევ უარესი – 29 აპრილი.

**15 ივნისი.** დილის 5 საათია. შეღვიძებული ვარ. რყევა. მაღლა ძელების ჭრაჭუნი. ისევ მიწისძვრაა. იღვიძებს რუსიკო: – რა არის? – მიწისძვრაა! ნუ გეშინია. მეორე ბიძგი მაინც უფრო მძლავრი იყო. ჩაიარა, არაფერია. ნუ გეშინია! – ვეუბნები. არც წამომდგარვარ. რუსიკოს ისევ ჩაეძინა. სად იყო, საიდან არის? მაწუხებს ეს ფიქრი, იქნებ ჯავახეთშია ეპიცენტრი, იქნებ ისევ საჩხერე-ონში? გვიან გაირკვა– ჯავიდან – 10 კილომეტრის დაშორებით, აღმოსავლეთით ყოფილა ეპიცენტრი, თვით ჯავაში, ცხინვალის რაიონის და გორის რაიონის სოფლებშიც გამოუწვევია ნგრევა, საცხოვრებლები გაუნადგურებია ჯავაში. ნანგრევებს აჩვენებენ. მსხვერპლიც არის. თითქოს აღარ უნდა განმეორებულიყო.

**19 ივნისი.** ახალციხეში მივდივარ მანქანით. ათის ნახევარი იქნება, წნისს გავცდით. ოთხ-ხუთ რიგად დაწყობილან, გაჭიმული მწკრივი მოდის წინ და შიგნით, ჯგუფებში, მღვდლები მოსჩანან. გულზე თუ ხელში ჩაჭიდებული ხატებით. მწკრივში არიან კაცებიც და ქალებიც, მრავლად არიან ახალგაზრდები, არიან მოზრდილი ბავშვებიც. ალბათ, 100-ზე მეტი იქნება. ძალიან ცხელა. ესენი ფოკიდან მოდიან. ალბათ 4-5 დღე გზაში არიან. მცხეთა-თბილისამდე ერთ კვირაზე მეტ ხანს მოუნდებიან. გზაში ადგილობრივი მოსახლეობის ხარჯზე ლხინობენ. ამ სვლასაც დიდ საქმედ მიიჩნევენ და თავს საზოგადოების წინაშე ვალმოხდილად მიიჩნევენ, თუ ამუნათებენ საზოგადოებას, რომ მათ ასეთი დიდი საქმე გააკეთეს და ამიტომ არ უფიქრდებიან, მაგრამ ის არის სამწუხარო და სავალალო, ამდენი პარტია, ეკლესია და, ვინ იცის, ვინ არის ის, ვინც ასე თავგამოდებით იღწვის ასეთი „ღონისძიებებით" გზაზე დააყენოს ხალხი, ენერგიის ამგვარი უაზრო ხარჯვით ჩამოაშოროს შრომას, იცხოვროს, კარგად იცხოვროს, ისიც ასეთ ჟამს. ამ სვლის ნაცვლად არ სჯობდა დანგრეულ რაიონებში, თუნდაც ორი ქვა აეწიათ და დახმარებოდნენ დაზარალებულებს, სადაც არის ზამთარი მოვა და ხალხი შესაძლოა ღია ცის ქვეშ დარჩეს!

შუადღის შემდეგ ჩამოვედი. მოვიდნენ მანქანით, მამცნეს – ჩვენი დიმიტრი გარდაიცვალაო. გული დამეწვა, საბრალომ, როგორი ცხოვრება განვლო. ობლობა, გაჭირვება, ცხოვრებაც რომ არ ჰქონია დამშვიდებული... გაეხილა და ახლაც ასე...

**9 ივლისი.** წუხელის ტელევიზიით გადმოსცეს და დღესაც დაწვრილებით უჩვენებიათ, კოკისპირული წვიმების შედეგად, როგორ დაიტბორა დასავლეთ საქართველოს რიგი რაიონები, როგორ წაილეკა ნათეს-ნარგავები. კიდევ ერთი დამღუპველი მოვლენა. მიწისძვრები, სეტყვა, მეწყერი, დატბორვა და სხვა ათასი უბედურება გვატყდება თავს. სხვა არ ჰყოფნის, რომ ესეც არ გვემატებოდეს. ეს კიდევ უფრო დააქვეითებს ცხოვრების დონეს. შეჰქმნის სიძნელეებს, რასაც შეიძლება მოჰყვეს მოსახლეობის შემცირება, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუარესება, რაც მე დამღუპველი მგონია.

**11 ივლისი.** ჰო, გუშინ ყოფილა ჩემი დაბადების დღე და შარიანი დღე. ხიფათი თუ რამ მომწევია, ყოველთვის ამ დღეს. გუშინდელმა კი ისე გადაიარა, არაფერი მომხდარა.

დღეს გივისთან ავედით, აწყურში. როგორ გამხდარა ეს ვაჟკაცი. შორი-ახლოდან ძლივს ვიცანი. აშკარად არ აქვს კარგი მდგომარეობა.

**13 ივლისი.** დილას, 5-ს 25 წუთი აკლდა, რომ გამეღვიძა, აღარ დავიძინე, ვაითუ ჩამძინებოდა და დამგვიანებოდა. 7 საათზე ბაკურიანში ციხისჯვრის მანქანას უნდა გავყვე. ავედი ბაკურიანში, იქიდან შევატყობინე ამირან კოსტანტინოვს. ისიც მალე მოვიდა და წავედით „ვილისით". ალბათ 12 საათზე ადრე ვიყავით სოფელში. კოლმეურნეობის თავმჯდომარე აჭარაში ყოფილა წასული. საბჭოს თავმჯდომარე აგერ ცხრაწყაროებში შეგვხვდა, ანდეზიტში მიდიოდა, ხელმძღვანელობის გარეშე კი ბევრი რამ არ ირკვევა. ვერნის ტანზე, სადაც სახლებს აგებენ, იქ გავედით. აშენებენ რამდენიმე სახლს. აჭარიდან მოსულები სამ სახლსა და ვაგონებში ცხოვრობენ. რა თქმა უნდა, მეტად შეჭირვებულნი არიან, მაგრამ არის სხვაც. წყალი არ აქვთ. სხვა მხრივაც პრობლემებს განიცდიან. ერთიც არის, რა კეთდება, რა დგას დღის წესრიგში, ესეც არ იციან.. ერთთავად სულ საყვედურები ისმის. მერე სოფელში ჩავედი, აქაც ისევ აღგზნება, ბევრიც აშავებს. ვუსაყვედურე, იქნებ მოხერხდეს, საერთო ენა გამონახონ. ასე განცალკევება და ერთმანეთის გაუგებრობა რა სიკეთეს მოუტანს მათ? ამ დღეებში მივედი პრეფექტთან, ზოგიერთი რამ მაინც შეიძლება მოგვარდეს.

**24 ივლისი.** დღეს მე, მარო და ნინო ერედვში წავედით. შედარებით სიმშვიდეა აქ. თავდასხმები არ ხდება, თორემ დაძაბულობა ისევ არის.

**26 ივლისი.** ეს ორი დღე ძლივს დავალამე. მოვიარე უახლესი ძეგლები, ბევრი საყდარი. ციხე და ეკლესია, ქვევით სასაფლაოს ეკლესია, თვით ერედვის ტაძარი. გავესაუბრე ხალხსაც. საგულისხმო ვერაფერი მოვისმინე. როგორც ამბობენ, ოსებთან შერიგება შეუძლებელია – ერთ მხარეზედ და მეორეზეც იმდენი მოიკლა, რომ შეუძლებელია ამან შურისგება არ გამოიწვიოს. არა და, რა ვიცი. დაახლოებით 12 საათზე თუ ცოტა უფრო გვიან, გამოვედით ერედვიდან. 5 საათზე ბორჯომში ვიყავით.

**29 ივლისი.** გუშინ ითქვა, რომ დღეისათვის „თურქი მესხები" შემოსვლას აპირებენო. საღამოს ტელევიზიით გადმოიცა, რომ აფხაზეთის შემოსასვლელში პატრულირება ხდება, არ გამოჩენილან დღეს. საღამოსაც გადმოსცეს ამის შესახებ. რა უბედური ერი ვართ, რომ ჩვენი სისხლი და ხორცი, ჩვენი ხალხის ნაწილი არ გვინდა შემოუშვათ ქვეყანაში და ამას თოფით უდგივართ წინ. არა და შემოშვება მართლაც არ შეიძლება. არ შეიძლება მას შემდეგ, რაც იმ უბედურმა სარვაროვის ჯგუფმა დაიწყო თავიან თურქობაზე ლაპარაკი, მსოფლიოს ამცნო, ჩვენ თურქები ვართო. არა და თანდათან ხდება მათი გადაგვარება. ვაჰმე, თუ მათ უფრო გვიან შესძლონ უცხოთა დახმარებით შემოსვლა, მაშინ სად მივდივართ? მაშინ რა უნდა ვქნათ. მაშინ ხომ აღარც გვექნება უფლება, ვუთხრათ, თქვენ ქართველები ხართო! ეჰ, ჩვენ დიდი ცოდვა გვდევს ამ ხალხის, თავის დროზე და შემდეგაც ვერ ვუპატრონეთ. თურქებმა თუ გაამაჰმადიანეს, რუსულმა ხელისუფლებამ თურქობის გზაზე დააყენა, ჩვენ კი რა გავაკეთეთ, რომ ასე არ გავეთიშეთ? არაფერი, პირიქით, ნავთი ვასხურეთ, რომ შუა ცეცხლზე აღგვეგზნო.

**12 აგვისტო.** გუშინწინ წავედით მე და რუსიკო ზესტაფონში, იქიდან ალისუბნის ავტობუსით ავედით რუფოთში. შალვა არის ავად, ვინ იცის, ეს მერამდენეა ჩემს ახლობელთაგან, რომ სიმსივნე აქვს, უკვე სიცხეებს აძლევს, ტკივილიც აქვს, წამლებს კი ღებულობს, მაგრამ... შეიძლება მოხდეს სასწაული?..

გუშინ დავრჩით იქ, ძნელი კია ასე დაალამო დღე, მაგრამ, როგორც იყო, დღე მოვითიე. აგერ დღეს ადრიან წამოვედით გოგიას მანქანით (ადიგენში მიდის ბინის გაყიდვის მიზნით). ათის ნახევარზე სახლში ვიყავით.

**19 აგვისტო.** დილა იყო, ალბათ ათის ნახევარი, ტელევიზორი ჩართული გვქონდა. რუსიკო უყურებდა. გამოვიდა და მითხრა: გადმოსცეს, საბჭოთა კავშირში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო, გადაცემას ვწყვეტთო. მოსკოვზე ჩავრთე. რაღაც კინოს აჩვენებენ. საოცარია, თუ მძიმე პოლიტიკური მდგომარეობაა აქ, მაშინ ისინი რატომ არ წყვეტენ გადაცემას. ცოტა ხანს შემდეგ ... დილის 8 საათზე გადმოსცეს, რომ მთავრობა – გორბაჩოვი გადაუყენებიათ და ახალი ხელისუფლება შეუქმნიათ (იაზოვი,იანაევი და კიდევ ვიღაცებს ასახელებენო). აჰა, მოხდა სამხედრო გადატრიალება. მოხდა ის, რისაც ყველაზე მეტად მეშინოდა. ვინ იცის, ეს რამდენგვარად დაგვიზიანებს ქვეყანას. წავედი ქვემოთ. რაც მთავარია, რა ამბავია თბილისში?! პრეფექტთან მივედი, ეგებ, იცოდეს რამე. აღმოჩნდა, რომ არაფერი იცის. გარდა იმისა, რომ 11 საათზე პრეზიდიუმის სხდომა დაწყებულა და ელოდება, რა მითითებას მისცემენ. – დაგირეკავო, – მითხრა. წამოვედი. საკმაო ხანს პურის ასაღებად რიგში დგომამაც მომიწია. ძლიერ მოწყვეტილი ვარ. ამოვედი მოგვიანებით. – გირეკავენო, – მითხრეს. პური ვჭამე და ცოტა მერე კვლავ დარეკეს. პრეფექტი ნიკო ხაჭაპურიძე იყო. მანქანას გამოვგზავნი, თუ ისურვებ, ჩამობრძანდი, განაცხადი უნდა გავაკეთოო. ცოტა ხანში მოვიდა მანქანაც და კავშირგაბმულობაში მიმიყვანა. იქ ხმის ჩამწერ აპარატზე წვალობენ. ჩაწერა არ გამოსდიოდათ. მერე მოიტანეს სხვა აპარატი, ჩაიწერეს ნიკოს სიტყვა გადასაცემად. მეც ზეპირად ვაპირებდი, შემდეგ გადავიფიქრე და საჩქაროდ შევადგინე ტექსტი. 6 საათზე გადასცემენ ალბათ. უმთავრესია, სიმშვიდე დავიცვათ, არ შევაჟღლიტოთ თავი ჯარს. საღამოს გადმოცემებია და ირკვევა, რომ მოსკოვი ფეხზე დგას. ვნახოთ.

*(გაგრძელება იქნება)*



# სამეცნიერო ექსპედიცია ფოცხოვის ხეობაში, კოლა-არტაანში, ტაო-კლარჯეთსა და შავშეთში

## (2005 წლის 19-26 აგვისტო)

ბუბა კუდავა, გოჩა საითიძე, თემო ჯოჯუა

*(გაგრძელება. დასაწყისი იხ. №12, 2013 წ.) (1-5 2014 წ.)*

ვიწყებთ მუშაობას – ბუბა ფოტოებს იღებს, ნესტანი და თამუნა – ვიდეოს, თემო, მირიანი, გიორგი და ბონდო ციხის აღწერილობით არიან დაკავებულნი, გოჩა კი ჩვენს მეგზურ მოხუცებულს ესაუბრება გერმანულად (აღმოჩნდა, რომ XX საუკუნის 60-იან წლებში მას ათი წლის განმავლობაში გერმანიაში უცხოვრია და უმუშავია). მართალია, ამ უკანასკნელს ცუდად ახსოვს გერმანული, მაგრამ ერთმანეთს მაინც აგებინებენ სათქმელს. აი, რას ეუბნება იგი: უწინ ამ ციხის მთავარ შემოსასვლელში რკინის კარები ყოფილა ჩამოკიდებული, მაგრამ 1912 წელს რუსებს ჩამოუხსნიათ და სადღაც წაუღიათ; გარდა ამისა, უთხრა, რომ სოფელ ბუდაქლის ყველა მცხოვრები ოდესღაც აჰისკადანაა მოსული, და ისინი „გურჯუდენ დონმა“

გვაქვს ამ თავდაცვითი სისტემის ერთი კონკრეტული სეგმენტი, რომლის ფუნქციასაც წარმოადგენს, დაიცვას ციხის გალავანში შემოსასვლელი კარიბჭე.

ახლა გადავალ სხვა სეგმენტების აღწერაზე. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა გეჩვენოთ, ბონდოს მოუვიდა ჭკვიანური აზრი და აღმოაჩინა, რომ პირველი სართული, რომელზეც მე ვამბობდი, ამოსაძვრომია-თქო, ბონდო ამბობს, რომ გარედან ეს პირველი სართული იყო თავდაპირველად ამოქოლილი და ეხლა გამოჩენილი თუ დავაკვირდებით, რომ გამონანგრევი თავის დროზე იყო ამოშენებული, გამოდის, რომ მეორე სართულის იატაკში ლუკის საშუალებით ქვემოთ ჩასაძვრომი სათავსი არსადაც არ გადიოდა. ბონდო ფიქრობს, რომ ეს შეიძლება ყოფილიყო დილეგი, რომელიც კარიბჭის გვერდით მდებარეობდა.

ერხებდა გალავანზე გადმოსვლას. ყველაზე მაღალი იმ ადგილას არის გალავანი, სადაც ფერდობი პირდაპირ სწორ ხაზად ებჯინება გალავანს და იქ გალავანი რაც შეიძლება სიმაღლეში აუყვანიათ.

თვითონ გალავანს აქვს რეალურად ორი კონტრფორსი, აქედან ერთი კონტრფორსი არის უშუალოდ გალავანში შესასვლელის ხელმარჯვნივ (როდესაც ვიყურები გარეთ და საერთოდ, როცა ვიტყვი, დავუშვათ, ხელმარჯვნივ ან ხელმარცხნივ, მხოლოდ მაშინ მეფარება, როცა ვდგავარ ციხის რომელიღაც მონაკვეთში და ვიცქირები გარეთ). მართალია, იგი გარედან არის გაზიდული, მაგრამ შიგნიდან არის სწორედ ჩემს მიერ მოხსენიებული წრიული ფორმის სათავსი, რომელსაც ქვემოთ ბონდოს მიერ დილეგად სახელდებული სათავსი აქვს იატაკში. იმის ცოტა უფრო ზემოთ და კიდევ უფრო დაიხრება და სწორი ხაზით წარიმართება, იმ ადგილას გალავანში არის ერთმანეთის პარალელურად განიერი ხვრელი, რომელიც რისთვის იყო, ვერ მოგახსენებთ. ის, პრაქტიკულად, მთელ სიგანეზე დაყვება მეორე სართულს. ეს კონკრეტულად ის სართულია, სადაც მე ვვარაუდობ, რომ ციხის დამცველებს ბილიკები ჰქონდათ მოწყობილი და ეს სიცარიელეები, სიღრუეები ერთმანეთს პერპენდიკულარულად ებმის. ალბათ, არ არის გამორიცხული, რომ აქ მართლაც [illegible] იყო [illegible], რომლებსაც რა ფუნქცია ჰქონდათ, ვერ მოგახსენებთ. შეიძლება, მილებიც იყო ჩაყოლებული, მაგრამ ამ მილებით... ალბათ, წყალი?... ამ წუთას ძალიან ძნელი სათქმელია, იმიტომ რომ ამ სიღრუეებში, რასაც ვაკვირდები, გალავნის ერთ კედელში ერთმანეთის პარალელურად მიყვება ორი სიღრუე – აქედან ერთი სიღრუე მთელ სიგანეზე დაუყვება გალავნის იმ ნაწილს, რომელიც ფასადისაკენ იცქირება, ხოლო მეორე ნაწილს, რომელიც დათხელებულია, პრაქტიკულად ნაკედლარილაა დარჩენილი, რომლის ნაცვლადაც ერთგვარი სწორი ბილიკია შექმნილი, აი, იმის წინაც შემორჩენილი კედლის ძირას არის სწორედ ისევ ერთი ანალოგიური ხვრელი, რომელიც განივად დაუყვება ამ კედელს. სამწუხაროდ, ვერცერთ ამ ხვრელში ვერ მივაკვლიე ვერც კერამიკის და ვერც – ფიცრების ფრაგმენტებს. ამიტომ ძალიან ძნელია იმის თქმა, რისთვის შეიძლებოდა, რომ ეს სიცარიელეები, მოგრძო სიღრუეები გამოეყენებინათ.

ძალიან კარგია და სახასიათო, ინტერიერი მაქვს მხედველობაში, გალავნის ბურჯს რომ გამოცდებით, ხელმარჯვნივ, ის მონაკვეთი, სადაც ერთ ადგილას არის ძალიან საინტერესო სურათი – ეზოდან თქვენ შეგიძლიათ, როგორც ჩანს, რამდენიმე საფეხური აიაროთ, შედგეთ ამ კედელშივე გაკეთებულ ბილიკზე, უფრო სწორად, პატარა ბაქანზე, და შემდეგ ამ ბაქნიდან თქვენ შეგიძლიათ აიაროთ ოთხი კიბე ხელმარჯვნივ და აქეთ მიმართულ ბილიკზე ახვიდეთ, შეგიძლიათ აიაროთ სამი საფეხური და ახვიდეთ მარცხნივ მიმართულ ბილიკზე. ასე რომ, ჩვენ ახლა სწორედ იმ ადგილას ვიმყოფებით, რა ადგილასაც ბილიკზე ასასვლელ-ჩამოსასვლელი ჰქონდათ ციხის დამცველებს მოწყობილი.



არიან; სახელწოდება ბეჭისციხე ბუდაქლის არცერთ მცხოვრებს არ გაუგონია.

ამის მერე გოჩამ დიქტოფონი თემოს დაუთმო და ციხის პირველი დაწვრილებითი აღწერილობის გაკეთება მას მიანდო; თავად მას კი იუსუფ აქთურქის საუბარში შექცევა დაევალა, რაც თითქმის ერთი საათის განმავლობაში კეთილსინდისიერად შეასრულა. ეს ჩვენი მეგზური კარგი კაცი კი გამოდგა, მაგრამ რად გინდა, იყო ჩარჩენილი საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობების პერიოდში და ძალიან გაუკვირდა, როცა შეიტყო, რომ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი ცოცხალი აღარ იყო. ამასობაში კი თემომ აი, რა ჩაიწერა სიტყვასიტყვით დიქტოფონში: „ეხლა ვარ ციხის კარიბჭის მიდამოებში, ოღონდ ციხის ინტერიერში. როდესაც ინტერიერიდან ვიცქირებით გარეთ, ხელმარჯვნივ არის კარიბჭისაგან საკმაოდ სქელი კედლით გამიჯნული წრიული ფორმის სიმაღლეში დაგრძელებული სათავსი, რომელიც ზემოთ დიდი მასიური ფილებით არის გადახურული და ამ ფილების შორის წრიული სათავსის [illegible]ლად შეიძლებოდა ამოსვლა ერთგვარი ლუკის გავლით ამ სათავსის ბანზე, რომელზეც არის აგრეთვე წრიული ფორმის მქონე სათავსი, ოღონდ გაცილებით უფრო ფართო. ჩემგან ხელმარცხნივ ადის გასასვლელი, რომლის საშუალებით ვექცევი ზუსტად კარიბჭის თავზე. ამ დაგრძელებულ ოთახში მე ვადგები ზემოდან კარიბჭეს, უფრო ზუსტად კი კარიბჭის წინ ქოლგისებურად გადმოშვერილ სალოდეს.

როგორც გითხარით, ამ წრიული სათავსიდან, რომელიც ლუკის საშუალებით ჩადის აგრეთვე წრიულ, ოღონდ გაცილებით ვიწრო ზომის, სათავსში, მე შემიძლია იმ სათავსიდან გასასვლელით გავიდე ციხე-სიმაგრის ეზოში და პირიქით, ციხე-სიმაგრის ეზოდან შემიძლია შევიდე ამ ვიწრო სათავსში, შემდეგ მის ჭერში გაკეთებული ლუკით ამოვძვრე მეორე სართულზე, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, აგრეთვე წრიული ფორმის ოთახს წარმოადგენს, ოღონდ გაცილებით დიდი ზომისაა, ამ წრიული ოთახიდან ხელმარცხნივ შემიძლია ერთგვარი დერეფნის საშუალებით გავიარო ეს დერეფანი და მოვექცე კარიბჭეს თავზე. როდესაც კარიბჭის თავზე, ანუ ციხეში შესასვლელის თავზე ვდგები, ჩემს ქვემოთ უშუალოდ შესასვლელის თავზე მასიური იატაკია, მაგრამ ამ მეორე სართულიდან ზუსტად ციხეში შემოსასვლელის თავზე ქოლგისებურად არის გამოშვერილი ორი დიდი ლოდი. მათ ბოლოებზე არის გადებული ორი საკმაოდ მასიური ხის მორი, რომელზეც დაშენებულია მერე ვრცელი კედელი. ამ შესასვლელის თავზე, სადაც ახლა ვდგავარ, იმ სათავსის იატაკზე, ცოტა უფრო ქვედა დონიდან საკმაოდ არის გასული გარეთ ორი ვეებერთელა მასიური ქვის ლოდი. ამ ლოდების თავებზე, გარეთა ნაწილში, არის გადებული ერთი მეორეზე ორი მორი, და ამ მორებზე არის დაშენებული კედელი, იმგვარად, რომ გალავნის კედელსა და ამ მორებზე ამოშენებულ კედელს შორის რჩება დაახლოებით 50 სანტიმეტრის სიგანის ჭრილი. ციხის დამცველს შეეძლო მეორე სართულზე შემდგარიყო და მოიერიშეებისთვის ზემოდან დაეყარა ლოდები, გადაესხა კუპრი და ა. შ. აღნიშნული სათავსი აქ მთავრდება. ამრიგად, ჩვენ ზუსტად კარიბჭის თავზე

ამჟამად შემოსასვლელს მივუყვები ზემოთ სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. ძალიან საინტერესო სურათია: გალავანი სადღაც შუა წელზე თხელდება, თხელდება ძირითადად სისქის შიდა ნაწილის განახევრების ხარჯზე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ კედლის ამ განახევრების შედეგად შიგნითა მხარეს იქმნება ერთგვარი ბილიკი, რომელზეც თავისუფლად შეეძლოთ ციხის დამცველებს ემოძრავათ, ქონგურებთან დაეკავებინათ საბრძოლო პოზიციები და მტრისათვის აქედან გაეწიათ წინააღმდეგობა. როგორც ჩანს, ეს ასეც იყო. ჩემს მიერ დასახელებული ბილიკი მთელ კედელს მიუყვება, არა მარტო სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, არამედ სამხრეთიდან დასავლეთის მიმართულებითაც კი პრაქტიკულად მთელ კედელს.

გარდა ამ „ბილიკისა“ (მისი სიგანე დაახლოებით 50 სანტიმეტრია), გალავანში შეიმჩნევა დიდი ღრმულები, რომლებშიც, როგორც ჩანს, შედგმული იყო გარეთ გამოჭრილი ( გარეთ როდესაც ვამბობ, ვგულისხმობ ისევ ციხის შიდა სივრცისაკენ მომართულ ძელებს) ძელები. როგორც ჩანს, ამ ძელებზე გაგებული იყო ერთგვარი ფიცარნაგი, რომელიც, თავის მხრივ, ციხის დამცველებს ეხმარებოდა მტრის იერიშის დროს თავისუფლად გადაადგილებულიყვნენ გალავნის მთელ სიგრძეზე და რაც შეიძლება ინტენსიური და სისტემატიზებული წინააღმდეგობა გაეწიათ მოწინააღმდეგისათვის.

მართალია, ციხის გალავნის ზედა ნაწილი მონგრეულია, მაგრამ მაინც შეიძლება ამ ნანგრევების მიხედვით ითქვას, რომ გალავანს თანაბარი სიმაღლე არ ჰქონდა. კერძოდ, გალავნის სიმაღლე მთლიანად შექმნილი იყო რელიეფის პირობების გათვალისწინებით. იმ მონაკვეთში, სადაც ციხეს ყველაზე მოსწორებული ადგილით ებჯინებოდა ციხის გარეთა ფერდობი, იმ ადგილას ციხის კედელი უფრო მაღალია, მაგრამ რაც უფრო მეტად ეს ფერდობი მდინარისა და პატარა ხევისაკენ ქვემოთ ფერდდებოდა, მით უფრო მეტად კლებულობდა კედლის სიმაღლეც, იმიტომ რომ, ბუნებრივია, რომ რელიეფის დადაბლების შესაბამისად კლებულობდა იმის საშიშროება, რომ მოწინააღმდეგე მოახ-

მარჯვნივ არის კიდევ ერთი კონტრფორსი, რომელსაც შიგნიდან სიღრუე აღარ აქვს და მთლიანად ნაშალითაა დუღაბით ამოვსებული.

შემდეგ კედელი გრძელდება ისევ მარცხნივ და აი, აქ უკვე ისევ გვაქვს ერთი წარმოუდგენლად სქელი ბურჯი – ესაა ოთხკუთხედი ფორმის ბურჯი, რომელიც არის მიმზერილი გალავანზე მომდგარი მინდვრის იმ ფრაგმენტისაკენ, რომელიც სწორი სახით ებჯინება ამ გალავანს და ხატოვნად რომ ვთქვა, პირდაპირ ხვდება შემოსულ მოწინააღმდეგეს. როგორც ჩანს, რაკი ლოდსატყორცნების საშიშროება აქედან ყველაზე მეტი იყო, ამიტომაც კედლის სისქე ამ მონაკვეთში ყველაზე უფრო სქელია, იგი დაახლოებით 2 მეტრს აღწევს, ამ ოთხკუთხა კონტრფორსისას. შიგნით კიდევ არის ამოვსებული ყველაფერი ამ კონტრფორსისაგან ჩამოშლილი ლოდებით და როგორც ჩანს, შიგნით ამ ბურჯს არ ჰქონდა სიღრუე და იგი მთლიანად იყო შეკერილი მასიური დუღაბისაგან და ის გათვლილი იყო, როგორც ვთქვი, სწორედ ამ ნაკლებად დამრეცი ვაკე ადგილიდან მტრის მიერ მოყენებული საბრძოლო კატაპულტებისა და ლოდსატყორცნების საწინააღმდეგოდ საბრძოლველად.

ოთხკუთხა ბურჯი ფასადიდან მშვენივრად იხილვება, მაგრამ ინტერიერიდან პრაქტიკულად განახევრებულია, სულ ჩამოშლილია ყველაფერი, მისი ლოდები კი იქვეა ჩამოყრილი და გალავნის ამ მონაკვეთის შიდა ტერიტორია პრაქტიკულად ამოვსებული აქვს კონტრფორსიდან ჩამოყრილ ლოდებს.

თვითონ ციხეზე, თუ თვალი არ მატყუებს, რამდენიმე სამშენებლო პერიოდი განირჩევა, მაგ, ის ბილიკებიც კი, რომლებიც ზემოთ მოვხაზე, რამდენიმე ადგილას ისინი ამოვსებულია; ზოგჯერ ეს მონაკვეთები არ არის ამოვსებული; ქვის წყობაშიც არის განსხვავება – ზოგ მონაკვეთში დუღაბი ინტენსიურად არის ნახმარი, ზოგან უფრო ნაკლებად ჩანს.

ახლა ბონდომ შეამჩნია ერთი საკმაოდ საინტერესო დეტალი : იმ ადგილას, სადაც გალავანი ამოივლის ჩემს მიერ ნახსენებ ოთხკუთხა ბურჯს, შემდეგ მარჯვნივ მოუხვევს და უკვე მდინარისაკენ ნელ-ნელა ga-

გალავნის სამხრეთისაკენ მიმართულ მონაკვეთზე, რომელიც სწორედ მტკვრისაკენ მოემართება, თითქმის ბოლო ფრაგმენტზე, ჩვენდა საბედნიეროდ, არის შემორჩენილი სამი ქონგურის ნაკვალევი. თუ აქვე დავამატებთ ამ ქონგურების ნაკვალევს ამ ბილიკს, მივიღებთ პრაქტიკულად ციხის თავდაცვითი სისტემის ერთი სეგმენტის სრულ სურათს. როგორც ჩანს, ქონგურები ჰქონდა გარედან ამოყვანილი ამ კედლის გარეთ მიმართულ მონაკვეთს, შიგნით დარჩენილ მონაკვეთზე სასიარულო ბილიკები იყო მოწყობილი, ჯარისკაცები დგებოდნენ ამ ბილიკებზე და შემდეგ მშვილდებით ამ ქონგურებს შორის არეებით ახერხებდნენ, რომ ბრძოლა გაემართათ მტრისთვის. ეს ქონგურიც არის, როგორც გითხარით, შემორჩენილი, და სავარაუდოდ, ასეთი ქონგურები დაუყვებოდა ციხის სხვა მონაკვეთებსაც, თუმცა სიმართლე უნდა ითქვას, კვალი ამ ქონგურებისა სხვა მონაკვეთებზე ჯერჯერობით ვერ ვნახეთ.

კედელი უკიდურეს სამხრეთ მონაკვეთში მკვეთრად, წრიულად უხვევს და გადის კლდეზე გადაკიდებულ ქარაფზე. იმ ადგილას, სადაც ქარაფზე გადაეკიდება ეს კედელი, იგი შემდეგ დაეშვება დამრეცად ქვემოთ და ამ კლდის ბაქნის ქვემოთ არის კიდევ ერთი ბაქანი, დაახლოებით, ძირითადი ციხის დონიდან 10-15 მეტრის სიმაღლეზე და ამ ზედა ბაქნიდან დამრეცად ეშვება კედელი ქვედა ბაქანზე. კედელი ზუსტად იმავე სახისაა, ყოველ შემთხვევაში, ქვედა მონაკვეთს ვერ გეტყვით, უბრალოდ, ბათქაში იქ უფრო მეტია ნახმარი, და ამ დამრეც კედელსაც კი, ისევე როგორც ამ გალავნის ყველა სხვა მონაკვეთს, შიგნიდან დაუყვება ისევ კედელზე სამოძრაო კიბე, და ამ კიბის საშუალებით დღესაც შეიძლება ამ კედელს ჩავუყვეთ ქვემოთ, ბაქნის ქვედა მონაკვეთისაკენ.

*(გაგრძელება იქნება)*

## კონსტანტინე გვიშიანი

# წმინდანად შერაცხული მცენარის ისტორია



*„შენ ხარ ვენახი, ჭეშმარიტი,*
*მშობლიურ მიწის სინოყიერეს*
*მონატრებული“.*

*კონსტანტინე გამსახურდია*

სამხრეთ საქართველოში მდიდარი, წარმტაცი, ლამაზი კუთხის – მესხეთის საწყისი კუთხეა სამცხე და ჯავახეთი (თუმცა დღევანდელ პირობებში, როგორც სამცხე, ისე ჯავახეთი საქართველოს ისტორიულ ფარგლებში არ არის მოქცეული – ვინაიდან ადრიანეპოლის საზავო ხელშეკრულებით სამცხისა და ჯავახეთის ისტორიული ფარგლები არ ყოფილა გათვალისწინებული). მესხეთი მდიდარი, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობისა და ბუნებრივი პირობების გამო წარმოადგენს წმინდანად შერაცხული მცენარის – ვაზის წარმოშობის ერთ-ერთ უძველეს კერას და სოფლის მეურნეობის დარგის – მევენახეობის შექმნისა და განვითარების ფუძეს.

მესხეთში ვაზის კულტურის დანერგვის და მევენახეობის განვითარების საქმეში ფუძემდებლური წვლილი მიუძღვის ჩვენს წინაპრებს – მესხებს და ჯავახებს.

წმინდანად შერაცხული მცენარის – ვაზის წარმოშობისა და მევენახეობის შემდგომი განვითარების ისტორია მრავალ მილიონ წელსა თუ საუკუნეს მოითვლის. რომ გავარკვიოთ ქართველთა მიერ წმინდანად შერაცხული ვაზის წარმოშობის ისტორია, საჭიროა შევძლოთ ხელთუქმნელი წიგნის წაკითხვა – **„ბუნების იდუმალებათა ლაბირინთებში რომ ჩავიხედოთ, უნდა შეგვეძლოს ბუნების მიერ დაწერილ წიგნთა წაკითხვა, დედამიწის სხვადასხვა კუთხეში უხვად რომ არის მიმოფანტული. ერთ-ერთი ასეთი წიგნი მესხეთშიც გვხვდება. მისი ასაკი 10 მილიონი წლით განისაზღვრება.“** – აღნიშნავს ღვაწლმოსილი გეოლოგი დავით ყანდარაშვილი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში მუშაობდა მესხეთში.

ათი მილიონი წლით განისაზღვრება ახალციხის რაიონის მდინარე ურავლის ხეობაში არსებული დიატომიტის საბადოს წარმოშობა. დიატომიტის საბადოს (ნასოფლარ კისათიბში) ათვისება მე-19 საუკუნის დასასრულიდან მე-20 საუკუნის 90-იან წლებამდე გრძელდებოდა. პალეობიოლოგების მიერ შესწავლის შედეგად გამოვლენილი იქნა ფოთლოვანი და წიწვოვანი მცენარეების (მუხის, თელის, წიფლის, ფიჭვის, ნაძვის, სოჭის), სუბტროპიკული კულტურების (პალმის, ბზის და სხვ.) ანაბეჭდები.

1957 წლის შემოდგომაზე ქ.ახალციხეში ჩატარდა რაიონული გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო აქატდიატომიტის მაღაროთა სამმართველოს სტენდი – წარმოებული პროდუქციის ნატურალური მასალებით; ამავე სტენდის გვერდით მოთავსებული იყო მებაღეობა-მევენახეობის დასაყრდენი პუნქტის მიერ რაიონის კოლმეურნეობებსა და მოსახლეობაში წარმოებული ვაზის პროდუქტები: ჩხები ყურძნის მტევნებით და ჩურჩხელები.

სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო დიატომიტის ნამტვრევ ქანებში მცენარეთა ფოთლების და ღეროების, თევზების თვალსაჩინო ანაბეჭდებმა. მცენარეთა ფოთლების ანაბეჭდებში ყურადღება მიიპყრო ვაზის ფოთლის ანაბეჭდმა, რომელიც წარმოდგენილი იყო ფოთლის ფირფიტის და ფოთლის ყუნწის მკაფიო გამოსახულებით. აღნიშნული ფოთლის ანაბეჭდი სრულ ასლს წარმოადგენს ვაზის შავყურძნიანი ჯიშის – „საწურის“ – ფოთლისა.

ვაზის ფოთლის ანაბეჭდი მეტად ფრთხილად იქნა აღებული მეცნიერებათა კანდიდატის შალვა წიქვაძის მიერ საქართველოს მებაღეობა-მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტში სამეცნიერო გამოკვლევისათვის. მეცნიერთა დასკვნით, აღმოჩენილი ფოთლის ანაბეჭდი წარმოადგენდა ვაზის ფოთლის ანაბეჭდს და იგი მოთავსებული იქნა ამავე ინსტიტუტის მუზეუმში. დიატომიტის მაღაროში მოპოვებული ვაზის ფოთლის ანაბეჭდის შემდეგ სპეციალისტების მიერ გაგრძელებული გამოკვლევის შედეგად აღმოჩენილი იქნა ვაზის ღეროს, ყლორტის, პწკალის და ვაზის ფოთლის სხვადასხვა ზომის ნიმუშები.

ვაზის არსებული ორეულის ძიება გაგრძელდა მდინარე ქვაბლიანის ხეობაში. სპეციალისტების ყურადღება მიიქცია ადიგენის რაიონში, – დიატომიტის საბადოდან 30 კილომეტრის დაშორებით, მდინარე ძინძეს ხეობაში, გეოლოგების მიერ კარგად შესწავლილ ვულკანურ ქანებში შემონახულმა **„გაქვავებულმა ტყემ“**, გოდერძის უღელტეხილის მიდამოებში, ნასოფლარ „ძინძეს“ სიახლოვეს... გოდერძის წყებამ გადაგვიშალა გული და **„ქვის ერთი გასაოცარი ნიმუში შემოგვთავაზა“.** – სამხრეთისკენ დახრილ, გაშიშვლებულ ქანებში, შორიდანვე შეინიშნებოდა მოყვითალო ფერის გაქვავებული ხის საკმაოდ სქელი, გადაგრეხილი ნაწილი, რომელიც, ერთი შეხედვით, ვაზის ღეროს (ტოტს) უფრო ჩამოჰგავდა, ვიდრე სხვა რომელიმე გაქვავებული მცენარის გაქვავებულ ნაწილს, რაც კი აქამდე ცნობილი და შესწავლილი ყოფილა გოდერძის წყებაში. აღნიშნული ნიმუშის აღმოჩენის ემოციური მდგომარეობა ასეა აღწერილი: **„გაქვავებული ხის აღებული ნიმუში დიამეტრით 30 სანტიმეტრზე მეტია და ისეთივე სიგრძისაა, როგორიც მოსალოდნელი იყო. ნიმუში ამოღებისთანავე რამდენიმე ნაწილად გაიყო სიგრძეზე მასში არსებული ბზარების გამო. წარმოიდგინეთ, რა ბედნიერება უნდა გვეგრძნო, როცა დავრწმუნდით, რომ გაქვავებული ნე „გიგანტური ვაზის ღერო (ტოტი) აღმოჩნდა“** ***(დ.ყანდაშვილი, „ჩვენი მიწის წიგნის სამი ფურცელი“, ჟურნ. „საქართველოს ბუნება“, №4, 1990წ.).***

გაქვავებული ვაზის ნიმუშის მონატეხზე შეუიარაღებელი თვალით ნათლად ჩანს ვაზის შტამბის კანის ანაბეჭდი, ვაზის შტამბის სხივოსნური, რადიალური აღნაგობა, ვაზის ზრდის წლიური რგოლები. გადანაჭერი ტოტი სხივოსნურ დისკოს მოგვაგონებს, ვაზის გაქვავებული შტამპის გადანაჭერი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო მუზეუმშია წარმოდგენილი.

მევენახეობის სპეციალისტებისა და პალეობიოლოგებისათვის ვაზის აღნაგობა და მისი მკვეთრად განსხვავებული სტრუქტურა კარგად არის ცნობილი და შესწავლილი.

„გოდერძის წყებაში“ გიგანტური ვაზის ნიმუშის პოვნამ დაადასტურა საქართველოს ტერიტორიაზე 15 მილიონი წლის წინ ვაზის კულტურის არსებობა.

ერთის მხრივ, ქისათიბის დიატომიტის საბადოში მოპოვებული ვაზის ფოთლების და რქის უნიკალური ანაბეჭდები, რომლებიც 10 მილიონი წლისაა და, მეორეს მხრივ, ახლად აღმოჩენილი ვაზის ტოტის ნიმუში „გოდერძის წყებიდან“, რომელიც 15 მილიონი წლის უნდა იყოს, უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ **ვაზის სამშობლო საქართველოა!**

გასაკვირი არაა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებს თავის გადარჩენის ერთ-ერთ საყვარელ მცენარედ ვაზი ჩაეთვალათ და იგი წმინდანად ექციათ და ეთქვათ : **„ვაზო, შვილივით ნაზარდო„!**

სამცხე-ჯავახეთში ვაზის კულტურა რომ უძველესი დროიდან მოჰყავდათ და მის ნაყოფს იყენებდნენ, დადასტურებულია არქეოლოგიური გათხრებით. 1936-1939 წლებში, თრიალეთში წარმოებული არქეოლოგიური გათხრებით ყურძნის წიპწა აღმოჩენილი, რითაც დასტურდება, რომ მოსახლეობა მევენახეობას მისდევდა უხსოვარი დროიდან.

„ქართველი ერის ისტორიაში“ – ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს: **„მესხეთში ძველად მევენახეობა ყველგან იყო, სადაც ბუნებრივი პირობები სასოფლო მეურნეობის ამ დარგის არსებობას შესაძლებელს ხდიდა“** ***(ივ.ჯავახიშვილი, დას, ლიტ. გვ441).***

უძველეს წერილობით წყაროს წარმოადგენს ასურული ლურსმული წარწერების ცნობა, რომელიც გვაუწყებს: **„ასურეთის მეფეს აშურ ნასირბალს** ***(ჩვ,წ.აღ.-მდე 884-860 წწ)*** **მუშკები, ანუ ძველი მესხები, ხარკის სახით უხდიდნენ: ხარებს, ცხვრებს, თითბერის ჭურჭელს და ღვინოს“** ***(დას. ლიტ. გვ.21).*** უდავოა, რომ ეს ღვინო შესანიშნავი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ასურეთის მბრძანებელს სწორედ ამ ღვინისთვის მიუქცევია ყურადღება და იგი დაუწესებია ხარკის ერთადერთ საგნად.

ბიზანტიელი მწერლის პროკოფი კესარიელის ცნობით (ჩვ.წ.აღ.-ით მე მე-6 საუკუნე): **„მესხები შრომისმოყვარენი არიან; მათ ბევრი ვენახები აქვთ და თავიანთი ღვინო მიაქვთ სხვადასხვა ქვეყნებში გასასყიდად“** ***(ს.ყაუხჩიშვილი _ „სტრაბონის გეოგრაფია“, გვ.132. გამოც.1937წ.)***

ვაზის სამშობლოდ სხვა ქვეყნებთან ერთად აღიარებულია საქართველო. ცნობილი მეცნიერები, მკვლევარები და ისტორიკოსები, ლინგვისტები, ბოტანიკოსები და ამპელოგრაფები აღიარებენ, რომ საქართველო წარმოადგენს კულტურული ვაზის სამშობლოს და მევენახეობის ერთ-ერთ მსოფლიო კერას, საიდანაც მთელი რიგი ქვეყნების ხალხებმა შეიძინეს ეს კულტურა და შეისწავლეს მისი გაშენებისა და მოვლის წესები. ამ ფაქტის ჭეშმარიტებას მოწმობს საქართველოში ჩატარებული მდიდარი არქეოლოგიური მასალა, რომლებიც მოპოვებულია მცხეთაში, ვანში, ხოვლეში, ალაზნის ველზე, უფლისციხეში, ურბნისში, ვარძიაში, გომში, მეჯვრისხევში, ანაკლიაში, კიკეთში, ტყვიავში, თრიალეთში, ქორეთში, ჭობისხევსა და სხვა მრავალ ადგილებში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი, თვალსაჩინო წარსულის მქონე დარგების – მევენახეობის და მეღვინეობის ჭეშმარიტი სამშობლო საქართველოა და ამ ჭეშმარიტების დამამტკიცებელი უტყუარი მასალები განმტკიცებულია მესხეთში და, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთში არსებული მასალებით: **„თუ შევადარებთ არსებულ მასალებს, ნათლად დავინახავთ, რომ ქართველთ ტომებს ჯერ კიდევ შუა ბრინჯაოს ხანაში და, არ გამოვრიცხავ, უფრო ადრეც, ჰქონდათ მევენახეობის მფარველი ღვთაებრივი კულტი და რელიგიური რუტუალების დროს ერთ-ერთ ძირითად ატრიბუტად ღვინო იყო წარმოდგენილი“** ***(ზ.ჯინჭარაძე, „საქართველოს კულტურული ვაზის სამშობლო და უძველესი მევენახეობის აკვანი“, „საქართველოს ბუნება“, №11 1975წ.გვ.3).***

## ვაზის პროდუქტიულობა

მევენახეობას ქართველი ერის სოციალური კეთილდღეობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს დღესაც. იგი მიჩნეულია სოფლის მეურნეობის უმაღლეს დარგად. იმის გამო, რომ წმინდანად შერაცხული მცენარე – ვაზი წარმოადგენდა „ყურძნის ხეს“, რომლის პროდუქცია – ყურძენი ადამიანისათვის საუკეთესო დიეტურ, არომატულად გემრიელ საკვებს იძლევა.

მწიფე ყურძენი ძირითადად შეიცავს ნახშირწყლებს, რომელსაც ადამიანი ადვილად ითვისებს და მისი რაოდენობა 18-25 პროცენტს აღწევს. ყურძენი შაქრის გარდა ორგანიზმისთვის საჭირო ორგანულ მჟავეებს – ღვინის, ლიმონის და ვაშლის მჟავეების სახით შეიცავს. ყურძნის წვენი მდიდარია სასარგებლო ვიტამინებით, რომელთაგან აღსანიშნავია B1,B2 და C ვიტამინი და პროვიტამინი A. აღნიშნული ვიტამინები წარმოადგენენ ადამიანისათვის სამკურნალო საშუალებას. ყურძნის გამოყენება ხელს უწყობს საჭმლის მონელებას და დადებითად მოქმედებს კუჭის, ფილტვების და თირკმლების, აგრეთვე ნერვიული და ბრონქიალური დაავადებების მკურნალობისას.

მევენახეობის ცნობილი სპეციალისტები აღნიშნავენ – ვაზი იძლევა ყურძენს, რომლის უმთავრესი პროდუქტი არის ღვინო და ქიშმიში. ღვინო მთავარი, ძირითადი და ძვირფასი სახეობაა ყურძნის პროდუქტთა შორის, რომლის ნორმალური გამოყენებით ადამიანის ორგანიზმს ენიჭება სიხალისე, სიფაქიზე, მხნეობა, გამძლეობა და სტიმული შრომისა და ცხოვრებისათვის.

ქიშმიში ტკბილეულის ძვირფასი სახეობაა საშაქარლამო წარმოებისათვის. იგი კარგად ინახება და საუკეთესო ტრანსპორტაბელურობით ხასიათდება. ყურძნისაგან მიიღება წვენი, რომელიც (პასტერილიზაციის შემდეგ) დიეტური საკვებია. ყურძნის წვენისაგან მზადდება ბადაგი, რომელიც თავისი ღირსებითა და ყუათიანობით თითქმის უტოლდება კარაქსა და თაფლს. ბადაგისაგან ამზადებენ თათარას, ფელამუშს, ავლებენ ჩურჩხელებს; აკეთებენ ტკბილ კვერს – ტყლაპს, მურაბას, ჟელეს, მარმელადს, კანფეტს. იგი კვების მრეწველობაში ფართოდაა გამოყენებული, როგორც ნოყიერი და შაქრის მაღალი შემცველობის პროდუქტი.

ყურძნის წვენისა და ღვინის გადაღების შემდეგ მიღებული თხლის ლექისაგან ამზადებენ ღვინის ქვას, ღვინის მჟავას და ღვინის სპირტს.

ყურძნისაგან იღებენ კონიაკის სპირტს, ყურძნის დაწურვის შემდეგ დარჩენილ ჭაჭას იყენებენ ღვინის სპირტის და არაყის დასამზადებლად. ჭაჭა აგრეთვე გამოიყენება ღვინისმჟავა კალციუმის მისაღებად. მარცვლებისაგან მზადდება აგრეთვე შავი საღებავი. სათანადო დამუშავების შემდეგ იყენებენ ნიადაგის გასანოყიერებელ სასუქად.

ყურძნის წიპწა შეიცავს 18%-მდე ცხიმს და ენოტანინებს. სათანადო დამუშავების შემდეგ იგი იძლევა საპარფიუმერიო წარმოებისათვის – ენოტანინს, რომელიც გამოყენებულია ღვინის წარმოებაში. წიპწა დაფქვის შემდეგ გამოყენებულია ყავის დასამზადებლად.

ვაზის ვეგეტატიური ნაწილების გამოყენება შესაძლებელია ღობის გასაკეთებლად, ვაზის ანასხლავი (წალამი) – საწერი ქაღალდის წარმოებისათვის, აგრეთვე – საწვავად. თუ დავფქვავთ – პირუტყვის საკვებად.

ვაზის გაფურჩქვნისა და ცის გახსნის შემდეგ მიღებული მწვანე მასა გამოყენებულია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საკვებად.

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა ვაზის პროდუქციას მოიხმარდა – ყურძენს საკვებად და ღვინის დასამზადებლად, არაყის საწარმოებლად, ყურძნის წვენის, ბადაგის და თათარას დასამზადებლად.

ბადაგს ყურძნისაგან ამზადებდნენ იმ პერიოდშიც, როდესაც სხვა პროდუქტების – ღვინისა და არაყის წარმოებას უკრძალავდნენ. ვაზის ფოთლებს ტრადიციულად ამჟამადაც იყენებენ სიმინდის მჭადის ცხობისა და ტოლმის დასამზადებლად.

განიხილავს რა ვაზის ბუნებრივ თავისებურებებს, პროფესორი ივანე ჯაში მევენახეობის ეკონომიკური ზრდის ფაქტორებად მიიჩნევს: ვაზისაგან მიღებული პროდუქციის მრავალი დანიშნულებით გამოყენებას, საქონლიანობის მაღალ დონეს, მაღალ მოსავლიანობასა და მყარ შემოსავალს, ყურძნის გადამუშავების შემდეგ მიღებული პროდუქციის ხანგრძლივად შენახვის შესაძლებლობას და ტრანსპორტაბელურობის მაღალ დონეს, ასევე ვაზის საექსპლუატაციო ტერიტორიის მაღალ ეკონომიკურ გამოყენებას, მსხმოიარობაში ადრე შესვლას, გვალვაამტანობას, კვების მხრივ – ნიადაგის პირობებზე ნაკლებ მომთხოვნელობას, წლის განმავლობაში მევენახის შრომის გამოთანაბრებულ გამოყენების შესაძლებლობას.

*გაგრძელება იქნება*

# სხვა რაიონებმაც უნდა მიბაძონ!

შარშან, ამავე პერიოდში, ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის სამსახურის ინიციატივით, მოეწყო ხალხური რეწვის, გამოყენებითი ხელოვნებისა და თვითნასწავლი მხატვრების ნამუშევრების რაიონული გამოფენა-გაყიდვა. მათ ამ წელსაც არ უღალატეს ტრადიციას და უკვე მეორედ, იმავე ადგილზე, სპორტ დარბაზში, კვლავ დიდი რუდუნებით მოაწყეს განახლებული და პროფესიულად გაუმჯობესებული გამოფენა-გაყიდვა. დამთვალიერებელთა და ნამუშევრების შეძენის მსურველთა რაოდენობაც შესამჩნევად მეტი იყო. ამ ღონისძიებამ დაადასტურა, რომ ადიგენის მუნიციპალიტეტში ხელოვნებისადმი ინტერესი შესაშური ტემპით იზრდება როგორც საზოგადოების დიდ ნაწილში, ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობაშიც.

გამოფენის ორგანიზატორი (ია მექოშვილი) ამჯერადაც შეეცადა რაიონის ყველა სკოლას, საზოგადოებრივ გაერთიანებასა





თუ ინდივიდს მიელო მონაწილეობა. გამოფენის მრავალფეროვნებაც ამის ნათელი მაგალითი იყო. კერძოდ, ფართოდ იქნა წარმოდგენილი მე-5-მე-6 კლასის მოსწავლეებიდან დაწყებული – ზრდასრული, თვითნასწავლი ხელოვანებით დამთავრებული, – ნახატები – შესრულებული ფანქარში, აკვარელში, გრაფიკაში, მოზაიკაში, ხეზე კვეთაში, ასევე წარმოდგენილი ჰქონდათ აპლიკაციები...

განსაკუთრებით საინტერესო იყო ხალხური რეწვის ნიმუშები – გობელენები, თექა, ხელთნაკეთობები, ნაქსოვი წინდები, ნაქარგი ქსოვილები და სხვ.

ძნელია ამ ნამუშევრებიდან განსაკუთრებით გამოყო საუკეთესოები, რამეთუ, მათ შორის ხომ უმრავლესობა ბავშვების მიერაა შესრულებული, თუმცა მათ საკმაოდ მაღალ პროფესიონალიზმში ეჭვს ვერავინ შეიტანდა. ეს დღე მართლაც თვითნასწავლ და მოზარდ შემოქმედთა ნიჭიერების დემონსტრაცია იყო. დამთვალიერებელთა სიმრავლე მაინც გამორჩეულად იგრძნობოდა ადიგნელი, არლელი და უდელი ნორჩი ხელოვანების – თამარ ჩანტლაძის, ანი, თიკო, აფრიამაშვილების, თაკო ბათმანაშვილის (თექა) თეონა და ლელა გიქოშვილების ნამუშევრებთან. ყურადღებას იქცევს უდის კათოლიკური ეკლესიის ახალგაზრდული ცენტრის – „იმედის“ – თექა და ნაქარგები – „ყვავილები“, ამავე სოფლის წმ. ნინოს სახელობის დედათა მონასტერთან არსებული სკოლის შემოქმედთა ნამუშევრები – თოჯინები, ხალხური რეწვის სხვა ნიმუშები, ადიგენის წმ. თამარ მეფისა და არლის წმ.ნინოს სახელობის დედათა მონასტრებთან არსებული სკოლიდან – ჩანთები, სამაჯურები, ქისები; ორიგინალურობით გამოირჩეოდა სოფო გოხაძის, მაკა ჩილინგარაშვილის, იზო აფრიამაშვილის – „შარფები“, კაბები, ჩანთები; ხატმწერის – ზურაბ ათოშვილის – „მწყემსი კეთილი“, „წიფელი“ (ნახატი), ალექსანდრე ბოჭორიშვილის – „ეკლესია ხელზე“ (ხეზე კვეთა), მაია მაისურაძის – „წისქვილი“, „ზამთრის პეიზაჟი“, იულია მაჭარაშვილის – „თაიგული“ (ნაქარგი) და სხვ.

ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ – საქველმოქმედო ფონდი – „საქართველოს კარატისი“ (ბავშვთა და ახალგაზრდული პროგრამების მენეჯერები– დავით ყარყარაშვილი და თამარ შარაბიძე); არლის წმ.იოსების სახელობის კათოლიკურ ეკლესიასთან არსებული ახალგაზრდული ცენტრი – „ერთობა“ (კორდინატორი მამა მიხეილ სურმავა); სამცხე-ჯავახეთის არასამთავრობო ორგანიზაცია „ვორტვიჟენი“ (მენეჯერი კახაბერ გორგაძე), სამცხე-ჯავახეთის სამხარეო განვითარების პროგრამების თემის უფროსი მობილიზატორი ელენე ბეგიაშვილი და მესხეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (რექტორი მერაბ ბერიძე).

*საქ. ინფორმაცია*






არსად არაა ცა ასეთი ლურჯი, უძირო,
მინდორს კი მკერდში არსად ეკვრის ასე ენძელა,
კამკამა ტბათა ზედაპირზე მბრწყინავი ბროლი
გასაღვიძებლად სათუთ მკერდზე რისხვით მეძგერა.

რატომ ქცეულა ჩვენი ზრუნვის დღევანდელ საგნად
არაფრის მთქმელი ფუჭი საქმე და ვაგლახეთი,
ვაქციოთ ზურგი დედინაცვალს და მამინაცვალს, –
დედაა ჩვენი ჯავახეთი, მამა – მესხეთი.

უძველეს ციხესიმაგრეთა კლდოვან ქონგურებს
კლდეში გაჩრილი კელიების აცოცხლებს სუნთქვა
და სახელოვან წინაპართა ბებერი ძვლები

უცხო ტომისთვის საგანია – სავაჭრო, მუქთა.
ფარავნის ტბასთან წმინდა ნინოს კურთხევა გვეღის:
გამოვყვეთ მის კვალს სასოებით – ვიდრე მცხეთამდე,
რომ მოვეფეროთ ბებერ მშობელს, ჩავეკრათ გულში,
ქართული სისხლი რომ შევიგრძნოთ თხემით ტერფამდე.

ტაოსკარს გვიღებს პატრიოტი ქართველი კაცი,
ვაჟკაცურ ცრემლით ეფერება ქვასა და მიწას
და ვარძიაში დანთებული ობოლი სანთლით,
ჩვენს სახელოვან წინაპართა საფლავებს იცავს.

ელენე ამირეჯიბი,
ვარძია, 7 აპრილი, 2014 წელი.

# ვისწავლოთ საკუთარის დაფასება და სიყვარული



ასპინძის საჯარო სკოლაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება მოსწავლე-ახალგაზრდობის მხატვრული ლიტერატურისადმი დაინტერესების მიზნით. საყოველთაოდ ცნობილია, რომ უკანასკნელ ათწლეულში ამ მიმართებით ძალზე რთული მდგომარეობა შეიქმნა საქართველოში, რაც განპირობებულია, ერთის მხრივ წიგნის – კომპიუტერით ჩანაცვლებით, მეორეს მხრივ – სწავლების ფორმებსა და მეთოდებში არაკომპეტენტური მიდგომებით.

სწორედ ამიტომ ასპინძის საჯარო სკოლაში სისტემატურად ვატარებთ ისეთ ღონისძიებებს, რომელთა საშუალებითაც, შესაძლებელია მოზარდ თაობას გავუღვივოთ წიგნისადმი სიყვარული. სასწავლო პროექტი, რომელსაც ამ მხრივ ვახორციელებთ, არის – „წიგნი – ცოდნის წყარო“. მასში ჩართულია როგორც სკოლის ადმინისტრაცია (დირექტორი კლარა ზედგინიძე), ასევე პედაგოგიური კოლექტივი. ერთ-ერთ პროექტს ხელმძღვანელობენ პედაგოგები – ოლღა ლეკიშვილი და მთვარისა ზედგინიძე. მარტო უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში მათ მიერ ამ კუთხით ჩატარდა რამდენიმე კონფერენცია, ღია გაკვეთილი, შეხვედრები წიგნის ავტორებთან და სხვ.

ახლახან კიდევ ერთი საინტერესო შეხვედრა გაიმართა ასპინძის საჯარო სკოლის პედაგოგთან, რობერტ ბერიძესთან. იმის გარდა, რომ ბატონი რობერტი ღვაწლმოსილი პედაგოგია, იგი, ამავდროულად, შესანიშნავი მხატვარი, მწერალი და პუბლიცისტია. მისი ინიციატივით კი ბევრ საინტერესო ღონისძიებას ჩაეყარა საფუძველი ასპინძის საჯარო სკოლაში.

ამჯერად განხილვის საგანი იყო ბატონ რობერტის მოთხრობა – „უცხო მხედარი“. იგი ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთსა“ და ჟურნალ „ცისკარში“, რომელსაც დიდი შეფასება მოჰყვა.

მოთხრობის – „უცხო მხედარის“ – განხილვის დროს, მწერლის მიერ კითხვა-პასუხის რეჟიმში მოსწავლეთათვის ბევრ საინტერესო კითხვას გაეცა ამომწურავი პასუხი. მან ისაუბრა იმაზეც, რომ მოთხრობის გმირები, რეალური ადამიანები არიან, რომ მათმა თავგანწირულმა ბრძოლამ დამპყრობთა წინააღმდეგ, უკვდავი შარავანდედით შემოსა ქართველი კაცის სახელი.

ჩვენთვის, ხშირად, ყველაფერი უცხოური მისაბაძი და სამაგალითოა მაშინ, როდესაც ჩვენს გარშემო ვერ ვხედავთ ყველაზე დიადსა და ღირსეულს, რისი პატივისცემა და დაფასებაც აუცილებელია და სწორედ წიგნია ყველაზე დიდი საშუალება, რათა მომავალ თაობას უკეთ დავანახოთ – რანი ვიყავით და როგორ მოვედით აქამდე.

ბატონ რობერტ ბერიძესთან, როგორც მწერალთან შეხვედრა, იმის მკაფიო მაგალითია, რომ ასპინძის საჯარო სკოლაში ქართული ლიტერატურისადმი ინტერესი იზრდება და ამ მიმართებით კიდევ ბევრი მუშაობა გვმართებს, რათა დავუბრუნოთ მომავალ თაობას წიგნისადმი ინტერესი და სიყვარული.

როზა ნარიმანიძე

## თქმულებები

### აშარი კაცი

კაცი არ დარჩა სოფელში, რომ ამ აშარს არ ეჩხუბა. ამ აშარმა გადაწყვიტა, რომ სოფელში ერთი კეთილი გლეხი დარჩა და იმისთვისაც შარი უნდა მოედო. პაპანაქება ცხელ ზაფხულში, გლეხი კარტოფილის ყანასა რწყავდა. შუა ყანაში წყალი მოუწყდა. მიყვა ამ რუს და ავიდა სათავეში. რას ხედავს. აშარი ზის რუს სათავეში და წყალი ყიშლაზე გადუშვია ქვა-ჩეგილებს რწყავს.

– რათ მომიწყვიტე, კაცო, წყალიო? – უთხრა აშარს.

– რა, შენ თუ კარტოფილს რწყავ, მეც ქვა-ღორღი უნდა მოვრწყოვო, – შეეპასუხა აშარი.

მიუხვდა გლეხი და უთხრა: რომ მორჩები მაგ ქვების მორწყვას, მერე ჩემკენ გადმოუშვი წყალიო და გამობრუნდა.

აშარმა კბილებში გამოსცრა: ეს გლეხი ნამეტნავად ჭკვიანი ყოფილაო და წყალი მაშინვე გადაუგდო.

*მთქმელი ალექსი (შიო) ჯვარიძე, ასპინძის რაიონი, სოფელ ჭობარეთი. ჩაწერილია 1950 წელს. მოგვაწოდა ამირან ჯვარიძემ 2014 წელს*

### აქლემმა არ დაიჩოქაო

კაცი აქლემით წავიდა სტუმრად ნათესავებთან. საპატივსაცემოდ, რაღაცა რომ წაელო, აქლემმა არ დაიჩოქა, თვითონ ხომ ვერ შესწვდებოდა. სტუმრად რომ მივიდა, მასპინძლის წინ აქლემს ცემა დაუწყო.

მასპინძელმა უთხრა: რას გერჩის პირუტყვი, რატომ ცემო?

– იმიტომ, რომ თქვენთვის პატივისცემა მინდოდა და არ დაიჩოქა, რომ რამე ამეკიდაო.

– შე კაი კაცო, მაგის გულისთვის რათა სცემ, თუ იქ არ დაიჩოქა, არც აქ დაიჩოქება, ე.ი. აქედანაც ვერაფერ წაიღებო.

### ნათლიას ცხენს ნუ ათხოვებ

ერთმა კაცმა ნათლიას ათხოვა ცხენი. დაჯდა კაცი და ქალაქში წავიდა. ცხენი იყო მოსაგები (მოსამშობიარებელი). შეჯდა და თავის ნებაზე გააჭენა. გზაში ცხენმა კვიცი დააგდო. ამ კაცმა ვერ გაიგო. ცხენის პატრონი კი ერდოზე ავიდა და იქიდან დაინახა, რომ გაჭენებულმა ცხენმა კვიცი დააგდო. ცხენზე ამხედრებულმა კი ეს ვერ შეამჩნია.

ცხენის პატრონმა წაიღო ძველძული ნაჭრები, შეახვია ახალშობილი კვიცი და თავის სახლში მიიყვანა.

სალამოს, ცხენი რომ პატრონს მიუყვანა, ცხენი გამხდარი, გალასტული იყო. ცხენის პატრონმა უსაყვედურა: რას ჰგავს ეს ცხენი, დღეს მთელი დღე არაფერი გიჭმევია?

– როგორ არა, ყველი ნავილე და გზაში დავუყარე, კარგად ჭამაო. ცხენის პატრონი სახლში შევიდა, კვიცი გამოიყვანა და ცხენის წინ დასვა. კაცი სახტად დარჩა.

ამიტომაა ნათქვამი: „ნათლიას ცხენი არ უნდა ათხოვოო“.

*მთქმელი ელე ბერიძე, 90 წლის, ასპინძის რაიონი, დაბა ასპინძა. ჩაიწერა ზინა ზედგინიძემ 2014 წელს*

## ხალხური პოეზია

### შაირები

ეს საწყალი ზველელები
დაუხოცია ხველასა,
ჭობარლები დასცინიან, –
ზველი სჯობია ყველასა.
***
ქობარეთსა და ზველს შუა
ბევრი ყვარგოროებია,
შენისთანა მოშაირე
ბევრი გამიცურებია.
***
ჭობარეთის ბოლოსაო
დაგიკრიფავ ლოლოსაო,
რაგინდაც ბევრი იწვალო,
მე გაჯობებ ბოლოსაო.
***
დედაშენი დოს არ ჭამდა,
მამაშენი ლახანასა,
შაირებში ვერ მაჯობებ,
თავი გიგავს ჩალხანასა.
***
ნეტავი რას იბერები,
ნიახურის ფოჩივითა,
მუცელი გაგსიებია
გაზაფხულის გოჭივითა.
***
გახუხულხარ, გარუჯულხარ,
ჭანჭახების ჯირკივითა,
ცხვირი წაგიგრძელებია
მაჭიხეთის ხვლიკივითა.
***
გოგოვ, გოგოვ, შენი ცხვირი
რამ გაზარდა ეგრე დიდი,
ეგ რომ ნესვი ყოფილიყო
ას დოლარად გაჰყიდიდი.
***
მამაშენი ცხონებული,
ორი კეტით დადიოდა,
ერთი ქოცო ღვინო ჰქონდა,
სულ ქეიფით დადიოდა,
პირში ჩიბუხი ეჭირა,
უკან ბოლი გასდიოდა.
***
მაღლა ზიხარ, ბუსა ჰგავხარ,
ქერს ჩამოსვალ ყორის ზეულსა,
ვაჟკაცობას კარგს მიქებდი,
ოჯახობას – ცარიელსა.
***
გოგოვ, შენი თავი ვნახე
ჭალის პირას, ყანაშია,
ყვავის ბახალა მეგონე,
მოთრეული ტალახშია.
***
აჰა, გოგოვ, ლენტი, ლენტი,
შენ რითა ხარ ჩემზე მეტი,
სილამაზით მე გჯობივარ,
სიმაღლით ხარ ცოტა მეტი.

*მთქმელი ნანული ივანიძე, 68 წლის, სოფელი ჭობარეთი, ასპინძის რაიონი, 2013 წელი*

### სოფლების გალექსვა

ქება ითქმის ჭობარეთის,
ვით ვარსკვლავი ცისო,
ქალი, რძალი ლამაზია,
როგორც სხივი მზისო.
***
ყველა წმინდა ღვთის მშობელო,
მუსხელები შიშობენო,
კარებს მაგრადა ჰკეტავენ,
სახლში არვის უშვებენო.



***
მუსხელები, შარიანნი,
საქურდალში დადიანო, –
ვისაც კარგი ქალი უნდა
ჭობარეთში ადიანო.
***
რაც ქვეყანაზე გიჟია
ანდრიაწმინდა ინახავს,
შენ ხომ არ გამოგიმეტებს
საკაიდღეოდ გინახავს.
***
დუშმანსაც დაუღამდება,
თოვდა და ქარი ქუხდესა,
შინ არავის შეუშვებენ,
სიცივე მოჰკლამს ბეჩავსა.
***
დაიცათ, ორგორელებო,
ნუ აგივარდათ ბაცილი,
თქვენთან მაყარში წამოსვლა
არა მაქვს კარგად დაცდილი.
იქ კაცი შემოგაკვდებათ,
საც დაგვარდებათ ადგილი.
***
ჩამოვიარე საროსო,
იქვე დავჯექი წყაროსო,
ქმარი სალაშქროდ წასულა,
ცოლი ერდოზე ხარობსო.
***
ხიზაბავრისა ქალები
არიან ქვეყანაზედა,
ისეთი დასუქებულან,
როგორც ირემი მთაზედა,
მათი გინება გესმოდეთ,
მეხის გავარდნა ცაზედა.
***
ოშორელმა კაცმა იცის
გაძღომა და გაგორება,
რაც უნდ ბევრი პური ჰქონდეს,
მაინც მჭადი აგონდება.
***
ხერთვისელი კაცი
კარებს უჯან დავსვი,
თუთის ფაფა ვაჭამე და
წყალი აღარ ვასვი.
***
შაირი მინდა დავძახო,
ყური დამიგდეთ ხმაზედა,
მესხეთის სოფლებს მღვყვები,
ვისაც ნაკლი უჯს რაზედა.
***
გოგაშნელი კაცი არ ვარ,
ბუმბული ვკრიფო კარზედა,
არც ხერთვისელი გახლავართ,
თუთა გავყიდო გზაზედა.
***
ტოლოშელი მე არა ვარ,
ვირი დავკარგო გზაზედა,
არცა სარველი არა ვარ,
შინდი გავყიდო გზაზედა.
***
ასპინძელი კაცი არ ვარ,
ბოლოკი ვყიდო გზაზედა,
იდუმალელი არა ვარ,
ვიდგე სახინკლის კარზედა.
***
არც ოშორელი გახლავართ,
ვიდგე ვენახის სხვლაზედა.
ჭობარელი მე არა ვარ,
ვიჩივლო თავმჯდომრის კარზედა,
***
არცა ზველელი გახლავართ,
პანტა გავცვალო ქერზედა,
მუსხელი კაცი არა ვარ,
სტუმარ გავაგდო კარზედა.

*მთქმელი იაშა ივანიძე, 72 წლის, სოფელი ჭობარეთი, 2013 წელი*

## ჰექრეს სარდაფი

ნინა ბაბოს ქმარი გარდაეცვალა. მიცვალებულთან მჯდარი ნინა კედელზე დაკიდებულ ვახტანგას ახალგაზრდობის სურათს მისჩერებოდა და ატირებდა:

– „ბიჭო, ვახტანგ! მკვდარს არ მინდა გიყურო, მინდა ისევ ლამაზი, ახალგაზრდა სახით დამრჩე ჩემს მეხსიერებაში, რა გეჩქარებოდა, ბიჭო, რად მტოვებ, უშენოდ გამიჭირდება ყოფნა. მინდა ყველას გავაცნო... გავაგებინო... შენი კეთილი გულის ხასიათები, სიკვდილმა როგორ გძლია, ნეტავი მაგ ოხერ სიკვდილსაც ვინმე მოუკვდებოდეს, რა იქნება“!.. ამოიოხრავდა ნინა ბაბო და ისევ გააგრძელებდა:

– „ბიჭო, ვახტანგ! მახსენდება, როგორ მომიტაცე, მთელი ხევ-ღელე როგორ შემომატარე, მახსენდება, როგორი ბედნიერები ვიყავით ქორწილებში ერთად რომ ჩავებმეოდით ფერხულში და ვცეკვავდით... ხინკალი ხომ შენი საყვარელი კერძი იყო. სასადილოში რომ შეხვიდოდი, შორიდანვე დაიძახებდი: „გამარჯობათ ხინკლებოო“!

## მიცვალებულთან...

სამძიმარზე წესის ასაგებად მისულმა მამაომ ნინას ტირილი რომ მოისმინა, ხმადაბლა მიმართა:

– „კარგი, ქალო, გეყოფა! არ გაგიგია, – უთავბოლო ტირილი მკვდარს ფეხებს გააქნევინებსო„?

მიუბრუნდა ნინა ბაბო მამაოს და....

– „რა ვქნა, მამაო, რით ვუშველო, მამაო.... ჩვენგან მიდის, მამაო... მიდის... ვეუბნევი, სად მიდიხარ, კაცოო... იქ რომ კარგი იყოს, თავმჯდომარეს, ბრიგადირს, საწყობის გამგეს, შენ მოასწრებდი-მეთქი? მაგრამ, არ ესმის, მამაო... ვერ ვუშველე ჩემს ვახტანგას, მამაო და... ხელიდან გამომეცალა, მამაოჯან„!..

გულმოსულმა მამაომ საყვედურის კილოთი მიმართა ნინას:

– „ქალო, მე თავი დამანებე და ისევ შენი ვახტანგა იტირეო“....

**არსენ ზედგინიძე,**
**სოფელი ბალანთა**

**დამფუძნებლები:** შოთა რუსთაველის სახალხო მუზეუმის აღორძინების რესპუბლიკური ფონდის სახელით და კერძო პირის სტატუსით ავთანდილ ბერიძე;
საქართველოს მწერალთა კავშირის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული განყოფილება,
ა(ა)იპ-ი ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

ქ. თბილისში გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ შეძენა შეგიძლიათ თავისუფლების მოედანზე – ალ. პუშკინის ქ. №5–ის წინ, მეტრო „თავისუფლების“ გამოსასვლელთან და საქართველოს რაიონებში – "საქპრესის" ჯიხურებში

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა „კოლორ-პრინტში“
მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს 43ა
ტელ: 2–93–27–66

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
მერაბ ბერიძე, დურმიშხან ბერიძე, რამაზ ბერაძე, ვახტანგ ინაური

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. "საარის" სტამბაში.
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 99 97 95 24,
პასუხისმგებელი მდივნის – 99 23 35 84;
lit_meskheti@yahoo.com